



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

გიორგი ჩაჩუა

ნატო - რუსეთის თანამედროვე ურთიერთობები ახალი გამოწვევები და საფრთხეები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი, ასისტენტი

თბილისი- 2019

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოში ნატოსა და რუსეთის ურთიერთობები თანხვედრაში ვერ მოდიან ერთმანეთთან, რასაც თითოეული მხარის მიერ გაკეთებული განცხადებები და ქმედებები ცხადყოფს. ნატო როგორც მსოფლიო მშვიდობისა და წესრიგის ერთ-ერთი მთავარი გარანტი მის ქმედებებს განიხილავს, როგორც საერთო მშვიდობისაკენ გადადგმულ ნაბიჯს, ხოლო რუსეთის ფედერაცია ამ ქმედებებს მისი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად აღიქვამს. ბოლო პერიოდის განმავლობაში სანქციების პოლიტიკამ, დაძაბულმა ვითარებამ საერთაშორისო არენაზე და ინტერესთა შეუთავსებლობამ ურთიერთობები უფრო გაართულა. რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს დაპირისპირების სხვა, ახალ ეტაპზე გადასვლა რომელიც გასცდება მხოლოდ სანქციების დაწესებას და გადაიზრდება სხვა შედეგებით უფრო რთულ ფორმებში. ერთ-ერთი პრობლემა ნატო-რუსეთის ურთიერთობის არის უნდობლობა და გეოპოლიტიკური ინტერესების შეუთავსებლობა. ნატოს გაფართობის პოლიტიკა რუსეთის მხრიდან აღიქმება, როგორც მისი ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ქმედება. გამომდინარე აქედან ნატო რუსეთის ურთიერთობა მუდამ იქნება დაპირისპირების საგანი რომელშიც მათი ინტერესები განსხვავებულია.

თითოეულ აქტორს გააჩნია საკუთარი მიზნები და ამოცანები რომელსაც თავისი პოლიტიკური მეთოდებით ახორციელებენ. გლობალურ პროცესებში მომხდარი პრობლემები ასახვას პოვენ მათ ურთიერთობებში და ხშირ შემთხვევაში დიდ ზეგავლენას ახდენენ მათზე. აქედან გამომდინარე ეს თემა საკმაოდ აქტუალურია.

Annotation

Giorgi chachua

NATO - Russia 's modern relations with new challenges and dangers

In modern world relations between NATO and Russia does not go hand in hand, which is demonstrated by their actions and statements. NATO as a world peace and order enforcer, assumes that its actions are for this purpose, and Russian federation stats that all of this actions are to undermine it. During the last period things such as: sanctions policy, tense situation on the international arena and incompatibility of interests made the relationship even more complicated. Which may lead to completely different stage of conflict that may not only exceed the imposition of sanction but also may turn into other relatively complicated forms. One of the problems of NATO-Russia relations is mistrust and incompatibility of geopolitical interests. NATO's expansion policy is perceived by Russia as a threat to the national interests. Due to this, NATO's relationship with Russia will always be a subject of controversy in which their interests are distinguished. Each actor has it's own goals and objectives that are performed by their own political methods. Problems in the global processes are reflected in their relationships and in most cases they have big impact on them. Therefore, this topic is quite relevant.

<u>ანოტაცია</u>	2
<u>Annotation</u>	3
<u>შესავალი</u>	5
<u>თავი I. ნატო-საბჭოთა კავშირის ურთიერთობები „ცივი ომის“ პერიოდში</u>	10
<u>ნატოს ჩამოყალიბების გეოპოლიტიკური პირობები</u>	10
<u>1.2. ნატოს როლი ცივი ომის პირობებში</u>	16
<u>1.3. ნატოს სტრატეგიული კონცეფციები</u>	27
<u>თავი II. „ნატოს ტრანსფორმაცია და რუსეთის ახალი სტრატეგიული გეგმა ცივი ომის შემდეგ“</u>	33
<u>2.1. რუსეთის სახელმწიფოებრიობის განვითარების გეგმა „ცივი ომის“ შემდეგ</u>	33
<u>2.2. ნატო რუსეთის განვითარების დინამიკა გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის პირობებში</u>	46
<u>თავი III. 21-ე საუკუნეში ნატო-რუსეთის ურთიერთობებში არსებული პრობლემები და პერსპექტივები</u>	52
<u>3.1 ნატოს გაფართოების პოლიტიკა და რუსეთის ეროვნული ინტერესები ახალი მსოფლიოს ფორმირების პროცესში</u>	52
<u>3.2 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ახალი გამოწვევები</u>	59
<u>3.3. რუსეთის პოლიტიკა სანქციების პირობებში და ურთიერთობის პერსპექტივები</u>	66
<u>დასკვნა</u>	74
<u>გამოყენებული ლიტერატურა</u>	78

შესავალი

ნატო რუსეთის ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე. თემაში განხილულია ორივე მხარის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში და რა როლი აკისრია ორივეს მსოფლიო მშვიდობის წარმართვის პროცესში. ასევე არის განხილული როგორი ურთიერთობაა თანამედროვე რეალობაში ნატოსა და რუსეთს შორის, რა სტრატეგიული მიზნები გააჩნიათ თანამედროვე პოლიტიკაში და როგორი პოლიტიკური მიზნებით ახორციელებენ თავის დასახულ მიზნებს.

თემის აქტუალობა: თემაში განხილულია ნატო რუსეთის ურთიერთობები ახალი მსოფლიო წესრიგის ფონზე, აგრეთვე განხილულია ნატოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ნატო - რუსეთის ურთიერთობა განხილულია გლობალური პოლიტიკის ჭრილში ვინაიდან ეს ორი დაპირისპირებული მხარე ქმნის ამინდს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე.

საკვლევი კითხვები

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში რა როლს თამაშობენ ნატო და რუსეთი?

რატომ აღიქვამს რუსეთი ნატოს გაფართოვებას როგორც საფრთხეს და რა პროცესები შეიძლება ამან გამოიწვიოს?

ურთიერთობის რა შესაძლებლობები არსებობს კონსენსუსის მისაღწევად?

ჰოპოთეზა: ცივი ომის პერიოდში დაწყებულმა ნატოს გაფართოების პოლიტიკამ, რომელიც თანამედროვე პერიოდში გრძელდება და რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდა, რაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობის გამწვავების ძირითადი მიზეზი გახლავთ. რუსეთი აღნიშნავს, რომ ნატოს გაფართოება მის ეროვნულ ინტერესებს უქმნის საფრთხე. იმისათვის, რომ გეოპოლიტიკური ბალანსი არ დაირღვეს რუსეთი ცდილობს ნატოს გაფართოების პოლიტიკის შეზღუდვას, აქედან გამომდინარე საკმაოდ რთულია საერთო კონსენსუსის მიღწევა, რაც მსოფლიო პოლიტიკაში მათი როლის

გათვალისწინებით ართულებს საერთაშორისო ურთიერთობებს და ზრდის დაძაბულობას.

თემის მიზნები: წარმოაჩინოს ნატოსა და რუსეთის ინტერესები დაპირისპირების ძირითადი მახასიათებლები.

ისტორიული ასპექტების წარმოჩენა ნატო რუსეთის ურთიერთობებში.

მულტიპოლარულ სამყაროში ნატოსა და რუსეთის როლი გლობალურ პროცესებზე წარმართვაში.

ამოცანები:

ინტერესთა კომფლიქტის ძირითადი მახასიათებლების დადგენა

ნატოს გაფართოების პროცესში რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების შეფასება

ჩემი კვლევა დაეფუძნა შემდეგი სახის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლების ფარულ მიმდინარეობას რომელთაგან გამოიყოფა შემდეგი:

ძალთა ბალანსი ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. ამ კონცეფციის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის.

ურთიერთდამოკიდებულობის თეორია - რობორტ კოენმა და ჟოზეფ ნაიმ გამოაქვეყნეს ნაშრომი Power and Interdependence (ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება). ისინი განსაზღვრავენ ტრანსნაციონალური პოლიტიკის და კოპლექსური ურთიერთდამოკიდებულობის კონცეფციებს. ამ ავტორების კოპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მოდელი საერთაშორისო

ფენომენების ანალიზისთვის გამოიყენება, რომელიც 3 ამოსავალ ჰიპოთეზას

გვთავაზობს,სახელმწიფოს გარდა სხვა მრავალი აქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს,სახელდობრ ტრანსცანიოზანლური სახელმწიფოები,ისევე როგორ საერთოსორისო ინსტიტუტები არასამთვრობო ორგანიზაციები და ზენოლის ჯგუფები

თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია- ტერმინი თანამშრომლობითი უსაფრთხოება პოპულარული გახდა ცივი ომის დასრულებისთანავე.აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა უფრო მშვიდობიანი ვიდრე იდეალისტური საერთაშორისო უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის მიზნით.“თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კონის სახელს.რიჩარდ კონის თეორიის მიხედვით გავრცელებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ორ კონცეფციას - კოლექტიური უსაფრთხოება და კოლექტიური თავდაცვა ემატება კიდევ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი ,რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ უსაფრთხოებას და სტაბილურობის შენარჩუნებას.

ანაკონდი პრინციპი - ამერიკული გეოპოლიტიკური სტრატეგია რომელიც მიმართულია, რაც შეიძლება მეტი სანაპირო ტერიტორია გამოსტაცოს რუსეთს, რათა შეაკავოს მისი გეოპოლიტიკური ექსპანსია შემდგომში საკუთარი გავლენის გაფართოვების მიზნით .ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსის, ალფრედ მეჰენის გეოპოლიტიკური თეორია, როდესაც მან მსოფლიო დონეზე გადაიყვანა აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს ამერიკელი გენერლის მაკელანის მიერ შემუშავებული ე.წ. „ანაკონდას“ პრინციპი.რომელიც მდგომარეობდა მონინალმდევე ძალის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების ბლოკირებაში ყველა მხრიდან-ზღვიდან და სანაპირო მისადგომებიდან. სწორედ ეს გეოპოლიტიკური კონცეფცია განავითარა დასავლეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რამაც საგრძნობი დარტყმა მიაყენა კომუნისტურ ბლოკს და აიძულა ეს უკანასკნელი ეკონომიკური, სამხედრო თუ გეოპოლიტიკური თაქტორების გათვალისწინებით დასავლეთთან მიმართებაში მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყო.

კვლევის მეთოდები ისტორიულ-აღწერილობითი, თვისებრივი კვლევის მეთოდები, ემპირიული კვლევის მეთოდები - ნარატიული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, კონტენტ ანალიზი, პოლიტიკის კვლევის ანალიზი

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის პრაქტიკური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნაშრომი გამოადგება ამ პრობლემით დაინტერესებულ ყველა ადამიანს, ასევე ამ თემის გამოყენება შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამაში. ნაშრომი შეიძლება გახდეს (თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის საბჭო) გზამკვლევი ნატო-რუსეთის ურთიერთობაში და იყოს პრაქტიკული სახის მასალა გადანყვეტილების მიღების საქმეში.

აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილია წიგნები, აგრეთვე სტატიები, რომლებიც ეძღვნება ნატო-რუსეთის ურთიერთობებს.

ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობიდა სა სტაბილურობის მთავარი გარანტი მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი, თბილისი 2008. ავტორს განხილული აქვს ნატო ცივი ომის პერიოდში, ცივი ომის დროს მომხდარი კონფლიქტები რომლებშიც ჩართული იყო ორივე მხარე ასევე აქვს გამახვილებული ყურადღება იმ ასპექტებზე რამაც გამარჯვებამდე მიიყვანა ალიანსი. ნაშრომში ასევე არის განხილული ნატო-რუსეთის ურთიერთობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში განხილულია მიზეზები და ძირითადი წინააღმდეგობანი ნატოსა და რუსეთს შორის.

ჩიტაძე ნ. გეოპოლიტიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011 წ. ზემოთ ხსენებულ წიგნში ავტორი აყალიბებს ნატოს გეოსტრატეგიულ ინტერესებს საქართველოს მიმართ, აგრეთვე საქართველოს ინტერესს სატოში ინტეგრაციის. გადმოცემულია

ორმხრივი იტერესი და თანამშრომლობის სურვილი ორივე სუბიექტისგან. ასევე ავტორს განხილული აქვს რუსეთ-საქართველოს ომი და მისი შედეგები რომელიც ასევე ნატოს ინტერესებშია. აგრეთვე განხილულია ძალთა ბალანსის თეორია და ანაკონდის რკალი .

ეკა აკობია საერთაშორისო ურთიერთობის თეორია, თბილისი2006წ. წიგნი მომზადებულია და გამოცემულია „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის“ მიერ.ავტორს ნაშრომში განხილული აქვს ნატოს გაფართოება,რა მიზეზებიდან გამომიდნარე შეიქმნა ნატო.განხილული აქვს ის თეორიები,რომელსაც ეფუძვნება ნატოს გაფართოების მიზნები და ამოცანები.

თავი I. ნატო-საბჭოთა კავშირის ურთიერთობები „ცივი ომის“ პერიოდში

1.1 ნატოს ჩამოყალიბების გეოპოლიტიკური პირობები

როდესაც დასრულდა მეორე მსოფლიო ომი და იქნა დამარცხებული ფაშისტური გერმანია, მსოფლიოს წინაშე გამოჩნდა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების საშიშროება. ჩვენთვის რგორც არის ცნობილი, მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთმა მთავარმა გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა გააძლიერა საკუთარი პოზიციები მსოფლიოში, მისი პოციების გაძლიება მოხდა ასევე აღმოსავლეთ ევროპაში რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირისთვის, სადაც სტალინის ტირანული რეჟიმის ჩარევით, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში იქნა შემოღებული მართველობის არადემოკრატიული ფორმები და რათქმაუნდა განახორციელეს ძლიერი რეპრესიები დემოკრატიული, პროგრესული, ოპოზიციური საქმიანობის ძალების წინააღმდეგ, შედეგად მოხდა მათი ჩახშობა. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ადანთა სოციალური, პოლიტიკური, თავისუფლებებისა და სამოქალაქო უფლებების მასობრივმა დარღვევამ აღმოსავლეთისა და ცენტრალური ქვეყნების უმრავლესობაში სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია ასევე მოგვიწებით სხვა ქვეყნების და რეგიონების დემოკრატიული სახელმწიფოების და საზოგადოების აღშფოთებაც საბჭოური იდეოლოგიის ქმედებებმა. ევროპაში ვითარება კიდევ უფრო დაძაბა 1946-1949 წლებში განვითარებულმა დრამატულმა მოვლენებმა. ამ დრამატულ მოვლენათა შორის განსაკუთრებით უნდა ავლნიშნოთ 1947 წლის იანვარში კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრება პოლონეთში, ეს რათქმაუნდა მოხდა საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით, ეს განახორციელა კომუნისტურმა ეგრეთ წოდებულმა “ ლუბლიანის კომიტეტმა” ამ ქვეყანაში ძალაუფლების მოპოვებისა და მონოპოლიზების მიზნით¹. სექტემბერში იმავე წელს იმის შემდეგ რაც საბჭოთა კავშირმა და მისმა მოკავშირეებმა აშშ-ს უარი განუცხადეს “მარშალის გეგმის” მიხედვით ფინანსურ დახმარებაზე, სამჭოთა კავშირის ეგიდით შეიქმნა კომინისტური პარტიების საინფორმაციო ბიურო “კომინფორში” კომინფორშის შექმნის

მთავარი მიზანი გახლდათ ის რომ, უზრუნველყოფილი ყოფილიყო კომუნისტური სახელმწიფოების იდეოლოგიური ერთიანობა. კომუნისტური ექსპანსია ამაზე არ გაჩერებულა და გაგრძელდა, 1948 წელსაც, როდესაც შეხოსლოვაკიაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, ამის შემდეგ მოხდა დემოკრატიული, პროგრესული ძალების საბოლოოდ ჩახშობა და განადგურება სახელმწიფო გადატრიალების მეშვეობით, ამის შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში კომინუსტურმა ძალებმა საბოლოოდ დაამყარეს ერთ პარტიული დიქტატურა. იმავე წელს მოხდა ბერლინის სრული ბლოკადა საბჭოთა კავშირის მიერ, რამაც სრული ჰუმანური კატასტროფის წინაშე ბერლინის მოსახლეობა. საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შედეგად, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგნენ შემდეგი სახელმწიფოები : საბერძნეთი, თურქენი და ნორვეგია. აქედან გამომდინარე მოსალოდნელი საბჭოთა კავშირის აგრესიის თავიდან ასაცილებლად, სხვა დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ იქნა მიღებული მნიშვნელოვანი ზომები, რომელსაც უდნა მოეხდინათ გავლენა და შეესუსტებინათ საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური გვლენა და განემტკიცებინათ ევროპული დემოკრატიული საზოგადოების ერთიანობა. ამის გამო, დასავლეთის სახელმწიფოების მიერ “ცივი ომის” დაწყებისთანავე იქნა მნიშვნელოვანი ზომები მიღებული. აუცილებლად უნდა ავლნიშნოთ “უინსტონ ჩერჩილის” ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის სიტყვები რომელიც საუბრობდა “რკინის ფარდის” არსებობაზე დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და ამ მიზნით ჩერჩილმა მოუწოდა შეექმნათ ამერიკული და ბრიტანული კავშირი რომელიც შეებრძოლებოდა “აღმოსავლეთის კომუნიზმს”. აქედან გამომდინარე როგორც აშშ, ასევე დემოკრატიული ევროპის სახელმწიფოები მსოფლიოში დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად , გადამწყვეტი ზომების მიღებაზე გადავიდნენ. შემუშავებული იქნა “შეკავების დოქტრინა” ამერიკელი დიპლომატისა და მეცნიერის “ჯორჯ ქენანის” მიერ. შეკავების დოქტრინის მთავარი მიზანი იყო კომუნისტურ ბლოკებში არსებული პროგრესულ დემოკრატიული ძალების მხარდაჭერა. “შეკავების დოქტრინა” უკეთესად იქნა კონცენტრირებული და განსახიერებული მარშალის გეგმასა და ტრუმენის დოქტრინაში.

“ტრუმენის დოქტრინა” წარმოადგინა აშშ-ს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმანმა 1947 წელს კონგრესის ორივე პალატის სხდომაზე . გაერთიებული ორივე პალატის სხდომაზე იქნა განხილული ის კომუნისტური საფრთხეები რომელიც პირველ რიგში არსებობდა თურქეთისა და საბერძნეთის წინაშე, ამიტომ ტრუმანმა ამ საშიშროების შესაკავებლად და ასევე აშშ-ს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოუწოდა კონგრესს გამოყოფილიყო 400 მილიონი დოლარი რომელიც მოხმარდებოდა საბერძნეთსა და თურქეთს. წამოყენებული პროგრამა კონგრესმა მიიღო და დაამტკიცა 1947 წლის 12 მარტს, ამ დოკუმენტების შედეგად იქნა ხელმოწერილი შეთანხმება საბერძნეთსა და თურქეთთან. ხელმოწერილი დოკუმენტები განსაზღვრავდნენ ამერიკის მიერ ამ ქვეყნების დახმარებას ,ასევე ამერიკამ ძიან მნიშვნელოვანი მოკავშირეები შეიძინა თურქეთისა და საბერძნეთის სახით, ამით შეიქმნა დიდი პირობა იმისა რომ ხელი შეშლოდა სსრკ კავშირს მოეხდინა ექსპანისა ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში.

პირველ ოფიციალურ კონცეფციას იმ დროისთვის კომინიზმის შეკავებისთვის “ტრუმანის დოქტრინა”წარმოადგენდა, დოქტრინის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო მოეხდინა დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანება კომუნისტური მზარდი იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური გავლენის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომიდან ამერიკის შეერთებული შტატები გამარჯვებული გამოვიდა ეკონომიკური თვალსაზრისით. აი მაგალითისთვის ,რომ ავიღოთ და შევადაროთ 1937 -1943 წლები სამრეწველო წარმოების მოცულობა აშშ-ი 1943 წელს უფრო მეტი იყო 2,4ჯერ ვიდრე 1937წელს. აშშ-ზე მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ უკვე მოდიოდა მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 50%. ამის შემდეგ როდესაც აშშ ეკონომიკურად გაძლიერდა, 1947 წლის ივნისს ჯორჯ მარშალის მიერ იქნა წარმოდგენილი გეგმა რომელიც უნდა დახმარებოდა ევროპას და აელორძინება ეკონომიკურად, რომელსაც შემდგომში “მარშალის გეგმა ეწოდა” როგორც ვიცით ჯორჯ მარშალი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ადგილს იკავებდა.

საინტერესო ფაქტი უნდა ავლნიშნოთ,გემოთ აღნიშნული გეგმა შესთავაზე საბჭოთა

კავშირს და მის მომხრე სახელმწიფოებს, მაგრამ მათ ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადეს. მარშალის გეგმის ფარგლებში 1948 წლის აპრილიდან 1952 წლის თებერლის ჩათვლით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა 17 მილიარდი დოლარის დახმარება მიიღეს. ეს პერიოდი ევროპის ისტორიაში ეკონოკურ-სოციალური განვითარების ყველაზე სწრაფი პერიოდი იყო.

აქედან გამომდინარე “მარშალის გეგმის” განხორციელების შემდეგ დასავლეთ ევროპაში სამრეწველო პროდუქციამ დაახლოებით 35%-36% -ით იმატა, სოფლის მეურნეობის სექტორმა კი ომამდელ პერიოდს პროცენტულობით გადააჭარბა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დასავლეთ ევროპა მარშალის გეგმის განხორციელებამდე, ძალზედ შეშფოთებულ იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო, რადგან დასავლეთ ევროპა ომის შემდეგ ძალიან დასუსტებული იყო. ამ მხრივ უდნა ავღნიშნოთ როდესაც ომი დასრულდა, საფრანგეთში წარმოება 40% ნაკლები იყო ვიდრე ომამდე, არც გამონაკლისი ყოფილა დიდი ბრიტანეთი რომელმაც მეორე მსოფლიო ომის გამო სახელმწიფო სიმდიდრის ერთი მეოთხედი დაკარგა.

ამიტომ ევროპაში ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის გამო შეიქმენა “ევროპის თანამშრომლობის ეკონომიკური ორგანიზაცია”(OEEC), ორგანიზაციის მიზანი იყო განმტკიცებულიყო ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის და მოხმდარიყო “მარშალის გეგმის” ფარგლებში შემოსული თანხების სახელმწიფოებზე გადანაწილება.

ასევე საერთაშორისო მაშტაბით ძალთა ბალანსის ცვლილებამ და კომუნისტურმა საფრთხემ აჩვენა, რომ გარდა ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გარდა საჭირო იყო შექმნილიყო თავდაცვითი ორგანიზაცია ევროპის ფარგლებში.

1948 წლის იანვარში ეს იდეა გააჟღერა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნესტ ბივინმა, ეს მოხდა ბრიტანეთის თემთა პალატაში სადაც მან წარმოადგინა თავისი წინადადება, რომ უნდა შექმნილიყო დასავლეთის ქვეყნების ამა თუ იმ ფორმით კავშირი.

1948 წლის 17 მარტს იქნა ხელმოწერილი ბრიუსელის ხელშეკრულება, კულტურული, ეკონომიკური, სოციალური თანამშრომლობისა და კოლექტიური თავდაცვის შესახებ, ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობდა შემდეგი სახელმწიფოები: ნიდერლანდები, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, დიდი ბრიტანეთი. ამის შემდეგ კიდე 1948 წლის 28 სექტემბერს ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების თავდავის მინისტრებმა მოახდინეს "დასავლეთის კავშირის თავდაცვის" ორგანიზაციის დაფუძნება.

იმ პერიოდში სადავლეთ ევროპის სახელმწიფოების ლიდერები იაზრებდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმდენად დასუსტებულები იყვნენ, რომ მათ არ შესწევდათ არც ეკონომიკური და არც სამხედრო უნარი გაეწიათ წინააღმდეგობა სამჭოთა მოსალოდნელი აგრესიისთვის, აქედან გამომდინარე მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობა და კავშირი დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შორილის "მარშალის გეგმის ფარგლებში" საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ მომხდარიყო საბჭოთა კავშირის ექსპანსიის შეკავება. დასავლეთ ევროპის ლიდერები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ საჭირო იყო შექმნილიყო ქოლექტიური თავდაცვის ძლიერი სისტემა ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მონაწილეობით, რადგან უზრუნველყოფილი ყოფილიყო იმ დროისთვის არსებული დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი. ამ მიზნის განსახორციელებლად აშშ-ს სენატმა ივნისში 1948 წელს მიიღო "ვანდერბერგის რეზოლუცია" რომელმაც სხვათაშორის შემდეგ დიდი საფუძველი ჩაუყარა ამერიკის მონაწილეობას მომავალში, რეგიონულ და ასევე სხვა სახის კოლექტიური შეთანხმებებში ევროატლანტიკური, და ასევე სხვა ბევრ შეთანხმებებში რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო უსაფრთხოება სხვა რეგიონებშიც.

აშშ-მ, კანადამ და ბრიუსელის შეთანხმების წევრმა ქვეყნებმა 1948 წელს გადავიდნენ მოლაპარაკებების ფაზაში, მოლაპარაკება ეხებოდა ჩრდილო ატლანტიკური რეგიონის თავდავასა და უსაფრთხოებას. ბრიუსელის წევრ სახელმწიფოებს ყავდაც საკონსულტაციო საბჭომ სრული თანხმობა განაცხადა, რომ შექმნილიყო ჩრდილო

ატლანტიკური თავდაცვითი პაქტი.

აშშ-ი “ვაშინგტონში” 1948 წელს განაახლეს მოლაპარაკება ჩრდილო ატლანტიკური “ნატო” ხელშეკრულების თაობაზე- მოლაპარაკებებში მონაწილეობნენ ბრიუსელის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოები კანადა და აშშ.

1949 წელს მოლაპარაკებებში ჩართულმა სახელმწიფოებმა შესთავაზეს სხვა სახელმწიფოებს მიერთებოდნენ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას, ეს სახელმწიფოები იყვნენ: პორტუგალია, ნორვეგია,დანია,იტალია და ისლანდია. ასე და ამ გვარად 4 აპრილს 1949 წელს გაეროს წესდების 51- მუხლის თანახმად “ვაშინგტონში”მოაწერეს ხელი დოკუმენტს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატოს) შექმნის შესახებ, ორგანიზაციის შექმნის დოკუმენტს ხელი მოაწერა 12-მა სახელმწიფომ - აშშ-მ,დიდმა

ბრიტანეთმა,ბელგიამ,კანადამ,იტალიამ,საფრანგეთმა,დანიამ,ისლანდიამ,ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ და პორტუგალიამ.

ასე და ამგვარად ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), ნატოს ხელშეკრულება 1949 წლის 24 აგვისტოს შევიდა ძალაში, და 1949 წლის 17 სექტემბერს პირველი სესია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩატარდა აშშ-ი ვაშინგტონში.

1.2. ნატოს როლი ცივი ომის პირობებში

ნატოს-ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის საუბარი და მისი ისტორიის, როლის და მის გარშემო მოვლენების განხილვა იწება მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ რომელიც მეტად განახორციელა 3-მა მოკავშირემ საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ამ სახელმწიფოების

გამარჯვების შემდეგ იქნებოდა ილუზია რომ ევროპაში იქნებოდა ჰარმონია და მოხდებოდა მისი განვითარება და დემოკრატიზაცია, მაგრამ შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო რომ ეს ასე არ იქნებოდა. საბჭოთა კავშირმა მოინდომა (ფაშიზმის) (კომუნისტით) ჩანაფლება და დაემყარებინა დიქტატურა . ცივი ომის მთავარი ნიშანი და საფუძვლიანი გახდა ევროპის გაყოფა, აქედან იღებს სათავეს "ცივი ომი" და ნატო-ს ჩამოყალიბება.

ნატომ ძალიან დიდი გამოწვევა მიიღო მისი ჩამოყალიბებიდან 5-თვის შემდეგ რაც გახდა ცნობილი, რომ 1949 წელს საბჭოთა კავშირმა გამოცადა ატომური იარაღი. ამ მოვლენამ ცხადყო ,რომ აშშ აღარ იყო ერთადერთი მონოპოლისტი ამ დარგში და ამის შედეგად აუცილებლად იყო საჭირო, შესაბამისი ზომების მიღება რათა მომხდარიყო კომუნისტური საფრთხის თავიდან აცილება.

აქედან გამომდინარე, ნატომ აქტიური ქმედებების განხორციელება დაიწყო. აშშ-მ გამოყო ძალიან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები რომელიც დაეხმარებოდა ნატოს საქმიანობაში და გააძლიერებდა მას და ასევე ის იყო მიმართული იმისკენ, რომ მომხდარიყო აშშ-ს ევროპელი მოკავშირეების ჩართვა სხვადასხვა სამხედრო პროგრამების განხორციელებაში.

ეს ყველაფერი იყო ტრუმენის ინიციატივა. ტრუმენმა 1949-1950 წლებში მოახდინა ნატოს რევიონის თავდაცვითი სისტემის გეგმის შექმნის დამტკიცება. სამხედრო პროგრამების დაფინანსებისთვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 900 მილიონი ამერიკული როლარი გამოყო, გარდა ამ ყველაფრისა ნატოში განხორცილდა სისტემური, შიდა სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები. პირველად ჩართა ნატო-ში შემავალი ქვეყნების სხდომა , ეს სხდომა ჩატარდა 1950 წელს ქალაქ ლონდონში, სადაც მუდმივ თავმჯდომარედ იქნა არჩეული აშშ-ს წარმომადგენელი ჩარლზ სპოფორდი. კანადაში 1951 წელს ნატოში შემავალმა სახელმწიფოებმა მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას ეროვნული წარმომადგენლობისა და საერთაშორისო სამდივნოს სტატუსის შესახებ. ამ ხელშეკრულებას უწოდეს "სამოქალაქო სტატუსი შესახებ" ხელშეკრულება. 1952 წელს ლისაბონში გაიმართა შეხვედრა სადაც მოხდა ორგანიზაციის

რეორგანიზაცია, ამ რეორგანიზაციის შედეგად ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ფახდა მუდმივ მოქმედი საერთაშორისო ურგანიზაცია რომელსაც გააჩნდა პარიზში შტაბ - ბინა . აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი ორგანიზაციის სამხედრო სტრუქტურაში განხორციელებულ ღონისძიებას, ეს ძაიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ამ ღონისძიების ფარგლებში ევროპაში შეიქმენა გაერთიანებული შეიარაგებული ძალების შტაბი, ამ შტაბმა ფუნქციონირება დაიწყო 1951 წელს , ეს შტაბი ახლოს იყო პარიზთან განთავსებული . ასევე ნატომ ძალიან კარგი ნაბიჯები გადადგა განათლების მხრივ მათ განათლებაზეც იზრუნეს და 1951 წელს პარიზში გაიხსნა ნატოს თავდაცვის კოლეჯი.

ერთ-ერთი დიდი მოვლენა ნატოს დაფუძნების შემდეგ იყო გაფართოების დაწყება, და ეს დაიწყო მაშინ როდესაც ნატოს წევრები გახდნენ როგორ ვიცით საბერძნეთი და თურქეთი 1952 წელს. ნატომ ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო და რასაკვირველია დიდი ნაბიჯი გადადგა იმით,რომ მათ წევრათ მიიღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

როგორც ვხვდებით ეს ძალიან კარგი და დიდი ნაბიჯი იყო იმ ფონზე როდესაც სამჭოთა კავშირი თავის სატელიტებთან ერთად ახალ და ახალ წინალობებს და გამოწვევებს იღებდა. გამოწვევებში და წინალობებში ვგულისხმობთ იმას , რომ როგორც ვიცით საბჭოთა კავშირმა შექმნა და გამოცადა ატომური ბომბი,ასევე ის საბჭოთა კავშირი ფლობდა წყალბადის ბომბს. ასევე ამის შემდეგ რამოდენიმე ხნის შემდეგ ნატოს საპირწონედ იქმნება სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია: ვარშავის ბლოკი რომლებშიც გაწევრიანებული იყვნენ შემდეგი სახელმწიფოები: ალბანეთი ,ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია,უნგრეთი,რუმინეთი,გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და რათქმაუნდა საბჭოთა კავშირი. მაგრამ რაც ეს ორგანიზაცია შეიქმნა დაახლოებით 1 წლის შემდეგ როდესაც 1956 წელს გამოიკვეთა,რომ კომუნისტური სისტემა რღვევას განიცდიდა, ეს გამოჩნდა პირველად როდესაც მოხდა ამბოხებები პოლონეთსა და უნგრეთში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ,მაგრამ რათქმაუნდა საბჭოთა ჯარებმა სასტიკად ჩაახშეს ამბოხება. ამის შემდეგ ნათლად გამოიკვეთა ორ უდიდეს კომუნისტურ

სახელმწიფოს შორის დაპირსპირება , ჩინეთსა და სსრკ-ს შორის ორივე სახელმწიფოს ქონდა პრეტენზია კომუნისტურ ბანაკში ჰეგემონობაზე.

უნდა აღინიშნოს რომ ნატო-მ და ასევე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს და მიიღეს ქმედითი უნარები რათა საბჭოთა კავშირისთვის შეემცილებინათ გეოპოლიტიკური გავლენა მსოფლიოში. ამ მიზნით ბევრი ქმედებები და ღონისძიებები იქნა მიღებული მსოფლიოს მრავალ რეგიონში.

1954 წელს შეიქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულება, ამ ორგანიზაციის შექმნა, მოხდა ნატო-ს წამყვანი სახელმწიფოების აქტიურობის მიერ , კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს შემდეგმა სახელმწიფოებმა : ფილიპინებმა ,ახალმა ზელანდიამ,პაკისტანმა, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა ,ამერიკამ და ტაილანდმა .

თურქეთის ნატოში გაწევრიანებამ საშუალება მისცა ალიანსს საბჭოთა კავშირის სამხრეთ-დასავლეთის საზღვრებთან განემტკიცებინა თავისი პოზიციები და მოეხდინა თავისი გეოპოლიტიკური გავლენის გაფართოება წინა აზიაში. 1955 წელს მოხდა ბალდათის პაკტის ხელმოწერა რომლის შემდეგაც, ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია შეიქმნა-სენტო. სენტოში სრულყოფილებიან ინვერები ყვნენ: ირანი,თურქეთი,პაკისტანი,დიდი ბრიტანეთი და ერაყი . ამ ორგანიზაციის შემქენის მიზანი იყო ნატოს გეოპოლიტიკური გავლენის გაზრდა საბჭოთა კავშირის საზღვრებთან სიახლოვეს.

ნატო სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა 60-ები წლებში განვითარებულმა და მომხდარმა მოვლენებმა როდესაც მოხდა აღმოსავლეთთან ურთიერთობის მეტად სერიოზული დაძაბვა, ამ მოვლენებიდან ყველაზე აღსანიშნავი მომენტებია:

არშედგა და ჩაიშალა ოთხმხრივი მოლაპარაკებები რომლებიც უნდა წარმართულიყო გერმანიის საკითხზე , მოლაპარაკებებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ : სსრკ-ს დიდ ბრიტანეთს,საფრანგეთს და აშშ-ს .

ასევე იმავე წელს ჩამოგდებული იქნა ამერიკის სადაზვერდო თვითმრინავი საბჭოთა კავშირის საზღვრებში.

ასევე ჩაიშალა მოლაპარაკებები რომელიც მიმდინარეობდა გაეროს ხეშენწყობით საბჭოთა კავშირსა და ალიანსის წევრებს შორის განიარაღების შესახებ, მოლაპარაკებებიდან გამოვიდა და ური განაცხადა საბჭოთა კავშირმა.

ასევე დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მოხდა ბერლინის 2-ად გაყოფა სადაც აღიმართა ბერლინის კედელი ეს იყო გაკეთებული საბჭოთა კავშირის მიერ და შემდეგ ეს კედელი "ცივი ომის" სიმბოლოდ იქცა. სამჭოთა კავშირის და მისი სატელიტების ამ უკანონო ქმედებების შემდეგ ნატოს სასწრაფოდ უნდა მიეღო ზომები რათა მომხდარიყო მსოფლიოში დაძაბულობის შემცირება. ამიტომ მსოფლიოში სიმშვიდის შენარჩუნებისთვის იქნა ხელმოწერილი ახალი კონვენცია და შეთანხმება ეკონოკუკური თანამშრომლობისა და განვითარების შესახებ ამ ხეშეკრულებაში მიიღეს მონაწილეობა 18-მა სახელმწიფომ ასევე კანადამ და აშშ-მ, ხოლო მოგვიანებით ამ ორგანიზაციას შეუერთდნენ იაპონია და ახალი ზელანდია.

ნატომ 1961 წელს ჩაატარა საგარეო სქმეთა მინისტრების ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე მკაცრად იქნა დაგმობილი სსრკ კავშირის ქმედებები ბერლინთან მიმართებაში და ბერლინის კედლის მშენებლობა და მაიტომ ალიანსის ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი გაენახლებინათ დიპლომატიური ურთიერთობა რათა მოხმდარიყო პროცესების მოლაპარაკებების განახლება და რაგაც საკითხზე შეტერება მშვიდობის მისაღწევად. 1962 წელს მიმართეს საბჭოთა კავშირის მდინავს ხრუშოვს კენედიმ და მაკმილანმა რომ ის დათანხმებულიყო მოენერა ხელი ხელშეკრულებაზე ბირთვული იარაღის გამოცდასთან დაკავშირებით თუმცა ეს შომოთავაზება საბჭოთა კავშირმა უგულებელყო. ყველაზე დიდი კულმინაცია დაძაბულობის იყო 1962 წელს ეს თარიღი არის ცნობილი როგორც "კარიბის კრიზისი" ამ წელს ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვამ აღმოაინა, რომ საბჭოთა კავშირი აწარმოებდა კუბაში სარაკეტო ნავიგაციური ბაზების მშენებლობას. ამაზე აშშ-მ მოახდინა

საპასუხო რექვირება და კუბა მოაქცია ბლოკადაში ასევე მაგ ღროს თურქეთში იყო განლაგებული ნატოს რაკეტები და შეიძლება ამის გამოც მოხდა სიტუაციის უფრო დაძაბვა საბჭოთა კავშირის მხრიდან. საბჭოთა კავშირის ამ ქმედებების გამო მსოფლიო ყველაზე ახლოს იყო ბირთვულ ომთან დაძაბულობა პიკს აღწევდა დაორივე სახელმწიფო მზად იყო გამოეყენებინა თავისი ატომური ბომბები თუმცა საბენდიეროდ ამერიკის სპეც სამახურების და კენედის ადმინისტრაციის აქტიური მუშაობის შედეგად საბჭოთა კავშირმა მოახდინა თავისი ბაზების ლიკვიდირება კუბის ტერიტორიიდან და საბენდიეროდ არც ბირთვული ომი მომხდარა.

როდესაც მოხდა კარიბის კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა ამის შემდეგ მეტ ნაკლებად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაძაბულობამ იკლო. ამის შემდეგ 1963 წელს მოხდა ხელის მონერა ხელშეკრულებაზე რომელსაც ეწოდებოდა “ცხელი ხაზი” ამ დოკუმენტზე ხელი მათონერეს აშშ-მ და საბჭოთა კავშირმა. ასევე 1963 წელს დიდმა ბრიტანეთმა სსრკ-მ და აშშ-მ მათონერეს ხელი “ბირთვული გამოცდის ატმოსფეროში, წყალ ქვეშ და კოსმოსში; აკრძალვას მათონერეს ხელი . შემდეგ წლებში მოხდა კიდევ მნიშვნელოვანი შეთანხმებების ხელმონერა,კერძოდ : “კოსმოსის შესახებ”შეთანხმება 1967 წელს ; და “აკრძალვა ბირთვული იარაღის გავრცელებაზე”1968წელს.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაძაბულობის შემცირებაში უდიდესი წვლილი შეიტანა, ნატომ და მისმა სტრატეგიულმა დოქტრინამ . ამ დოქტრინას მოიხსენიებენ როგორც “არმელის მოხსნებას ” ის დაამტკიცეს 1967 წელს . შესამაბისად ნატომ გამოიმუშავა ახალი კონცეფცია ეს ახალი კონცეფცია ითვალისწინებდა , ნატოს ტვდაცვის გაძლიერებას და ასევე საბჭოთა კავშირთან და მის სატელიტებთან ურთიერთობის დალაგებას და დაძაბვის განმუხტვას,მაგრამ ამ ურთიერთობის დალაგებას და დათობას თავისი ნეგატიური მხარეები ქონდა და დალი დაასვა 1968 ჩეხოსლოვაიაში მომხდარმა პროცესებმა სადაც საბჭოურმა ძალებმა და მისმა მომხრეებმა სასტიკად ჩაახშეს მშვიდობიანი დემონსტრაციები, ამ დარბევას და ჩახშობას ბევრი ადამინის სიცცხლე შეეწირა, მაგრამ აღსანიშნავია ,რომ იმ დროისთვის მოვლენები ისე იყო განვითარებული

,რომ ნატოს არაფრის გაკეთება და ჩარევა არ შეეძლო იმ დროისთვის განვითარებული მოვლენების შესაჩერებლად.

ნატოსთვის 70-იანი წლები მეტად მნიშვნელოვანია რადგან ამ პერიოდში ალიანსმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო რიგი ნაბიჯები გადადგა რათა მსოფლიოში ყოფილიყო მშვიდობა და ასევე დიდი წვრილი შეიტანა,რომ ცივ ომში გამარჯვება მოეპოვებინათ. ამ მხრივ ნატო ვარშავის ბლოკის სახელმწიფოებთან შედარებით მაღლა იმყოფებოდა მისი ერთიანობიდან, სამხედრო უპირატესობიდან და უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და ზუსტად ამ მიზეზების გამო მოხერხდა ვარშავის ბლოკის ქვეყნები დათმობებზე წამოსულიყვნენ.

საბჭოთა კავშირი უკვე შედარებით სუსტად გამოიყურებოდა აქედან ევროპული ქვეყნების ერთიანობის ფაქტორი და ამის გამო სსრკ უკვე მზად იყო წამოსულიყო დათმობებზე და დაეწყო მოლაპარაკება ამერიკასთან შეიარაღების შემცირების თაობაზე. ამის შემდეგ 1972 წელს მოსკოვში ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის გაფორმდა შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღებისა და რაკეტ საწინააღმდეგო რაკეტების დამზადების შესახებ.

ასევე იმავე წელს მოხდა ოთმხრივი შეთანხმება საბჭოთა კავშირსა ,საფრანგეთსა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ბერლინთან დაკავშირებით ამ დოკუმენტს ხელი მანერეს მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ამის შემდეგ ურთიერთ თანამშრომლობის შეთანხმებას ხელი მანერეს გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ. ასევე მხოდა ხელშეკრულების გამოფერმება პოლონეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის სადაც მოხდა საძღვრების დადგენა ამ ფაქტმა დიდად შეუწყო ხელი დაზაბულობის და დაპირისპირების კლებას .

განვითარებული მოვლენების ფონზე ნატოს უნდოდა მოლაპარაკებები წარემართა კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებთან შეიარაღებული ძალების შემცირებასთან დაკავშირებით. ასე და ამგვარად 1972 წელს ნატოს აქიური ჩართულობის შედეგად ამ

პროცესში ვენაში დაიწყო მოლაპარაკებების წარმართვა შეიარაღებული ძალების შემცირებასთან დაკავშირებით . 1975 წელს მოხდა ჰელსინკის აქტის ხელმოწერა ამ აქტში მონაწილეობა მიიღეს 35 სახელმწიფომ ამ აქტმა ხელი შეუწყო მოხმდარიყო დაძაბულობის განმუხტვა ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს შორის. ასევე საბოლოო აქტში იყო ხსენებული ნაწილობრივი შეიარაღების შემცირებაზე და ასევე ურთიერთ უმაღლეს ნდობაზე და თანამშრომლობაზე.

მაგრამ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირი და მისი სატელიტი სახელმწიფოები არ იყვნენ მზად,რომ კიდევ უფრო მეტ სათმობებზე წასულიყვნენ მშვიდობის და დემოკრატიზაციის გაზრდის და გავრცელების კუთხით რადგან ეს მათ არაწყობდათ. ამ ყველაფერს ნატო ხვდებოდა და ამის შესაბამისად პარალელურად აღმოსავლეთთან მოლაპარაკებების გარდა ნატოს უნდა ეზრუნა საკუთარი სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაზე , ამიტომ 1979 წელს მიღებული გადაწყვეტილება მეტად მნიშვნელოვანი იყო ალიანსისთვის მას ეწოდა “ორმაგი გადაწყვეტილება” ეს იყო ბირთვული იარაღის კონტროლის და მოღერნზაციის შესახებ. ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ნატოს საგარეო და თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე რომელიც ჩატარდა ბიუსელში. ამან მნიშვნელოვნად გააძლიერა ნატოს თავდაცვის სისტემა.

ნატოს მოღვაწეობა პირდაირ იყო დაკავშირებული იმ პოლიტიკურ პროცესებთან რომელიც მიმდინარეობა 80-იან წლებში და დაკავშირებული იყოს ნატოს განვითარების პოლიტიკასთან, ამავე დროს ესპანეთი გახდა ნატოს წევრი,ასევე კომუნისტური სისტემა უკვე იწყებდა რღვევებს და ეს იყო განპირობებული იმით,რომ პოლონეთში დაიწყო დემოკრატიული ორგანიზაციის “სოლიდარობის” მოღვაწეობა და შემდგომში ის ლეგალიზებული იქნა. ნატომ თავის სამიტზე მიიღო დეკლარაცია სადაც მოახდინა პოლონეთში დემოკრატიული ძალების მხარდაჭერა და ასევე დაგმო საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის ოკუპაცია, საბჭოურმა სამხედრო ძალება ოკუპაცია მოახდინეს აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე 1979 წელს.

ნატო და მისი წევრი ქვეყნები მიუხედავ ყველა წარმართული მოვლენებისა მაინც

ცდილობდნენ მოლაპარაკებების დაწყებას და წარმართვას კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებთან. აშშ-ს ახალმა პრეზიდენტმა "რონალდ რეიგანმა" შესთავაზა სსრკ კავშირს შეემცირათ საშუალო სიშორის ბირთვული ძალები და სტრატეგიული შეიარაღება, მოლაპარაკებებმა გამოიღო, ამერიკამ და საბჭოთა კავშირმა 1981 წელს უენევაში მოახდინეს მოლაპარაკებების განახლება. ამისდა მიუხედავად სსრკ კავშირი 80-იან წლებში ნატოს შემოთავაზებების მიუხედავად მაინც არ წყვეტდა თავისი აგრესიული მოქმედებების განხორციელებას. ამ ყველაფერს ადასტურებდა ის, რომ საბჭოთა კავშირი აგრძელებდა ავღანეთის ოკუპაციას დაარც თეძრობდა ჯარების გამოყვანას იქედან და ასევე საბჭოთა კავშირმა ჩაიდინა უსასტიკესი დანაშაული როდესაც ჩამოაგდო სამხრეთ კორეული თვითმფრინავი სადაც 260-ზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა ეს იყო უმძიმესი დანაშაული რომელიც განხორციელა საბჭოთა ხელისუფლებამ ესეც არკამროდა და იმ წელს ასევე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გამოსულიყვნენ უენევის სამიტიდან სადაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების თაობაზე.

რადიკალურად შეიცვალა ყველაფერ იდა შედარებით დალაგდა ურთიერთობა ეგრედ წოდებული "პერესტროიკის" პერიოდში ეს მოხდა 80-იანი წლების მეროე ნახევარში ამ ყველაფერმა უმნიშვნელოვანესი როლი შეიტანა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობების დალაგებაში და დასავლეთის საბოლოო გამარჯვებაში ციმ ომში რაშიც რათქმაუნდა ძალიან დიდი წვლილი შეიტანა და საბოლოოდ გადამწყვეტი როლი ითამაშა ნატომ.

როდესაც 1985 წელს საბჭოთა ხელისუფლებაში მოვიდა გორბოჩოვი მან განაახლა უენევის მოლაპარაკებები ამერიკასა და სსრკ-ს შორის რომელიც ეხებოდა ბირთვულ ძალებს მათ კონტროლს თავდაცვით სისტემებს კოსმოს და სხვას. 1985 წელს გაიმართა უმაღლესი შეხვედრა რეიგანსა და გორბოჩოვს შორის სადა მხარეებმა საბოლოოდ მიაღწიეს შეთანხმებას და შეამცირეს 50% პროცენტით სტრატეგიული ბირთვული ძალები. ეს გადადგმული ნაბიჯი და გადაწყვეტილება მოუწონეს ევროპის ლიდერებმა და ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა შესთავაზეს სსრკ კავშირს კიდევ განეხორციელებინათ

მსგავსი ერთობლივი კარგი და სასიკეთო პროექტები. გარდა ზემოთ ხსენებულისა უმნიშვნელობანესი მნიშვნელობა ჰქონდა უმაღლეს შეხვედრებს ნატოსა და ვარშავის ბლოკის ლიდერ სახემწიფოებს ამერიკასა და საბჭოთა კავშირს, დიდი მნიშვნელობა ამ შესხვედრებს ქონდა ის რომ საბჭოთა ლიდერი გორბოჩოვი უკვე ვეღარ მალავდა იმ ფაქტს, რომ ამერიკასა და ზოგადად ევროპის სახელმწიფოებს სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული საბჭოთა კავშირზე.

1987 წლის 7-10 დეკემბერმა ძალიან დიდი წვლილი შეიტანა “ცივ ომსა” და ნატოს ისტორიაში როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ და გამართეს მოლაპარაკებები ამერიკამ და საბჭოთა კავშირმა. ამ შეხვედრაზე მოეწერა ხელი რამოდენიმე შეთანხმებას ერთი ეხებოა “ინტერვალურ სიშორის ბირთვულ ძალებს” ასე მოხდა ასეთ დოკუმენტზე შეთანხმების მიგნევა : როდესაც მოხდებოდა პოლიგონებზე ბირთვული გამოცდების ჩატარება ორივე მხარე გააკონტროლებდა ერთმანეთს. ასევე მოხდა შეთანხმება, რომ უნდა მოხმდარიყო სტრატეგიული შეიარაღების შემცირება და ამაზე ორივე მხარეს ლიდერმა აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა.

ის ყველა პროცესი რაც განხორციელდა ამ ყველაფერს გამოეხმაურა ნატო,

1988 წელს მადრიდში გაიმართა ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს სხდომა და ამ სხდომაზე იქნა განხილული აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის პოზიტიური განვითარება. ხოლო ამის შემდეგ ნატოს საგარეო მინისტრები მიესალმნენ საბჭოთა კავშირის მიღებულ გადაწყვეტილებას “ჩვრეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირებასთან” დაკავშირებით. ამ პოზიტიური მოღენების ფონზე იქნა ნატოს ერთობლივი განცხადება გაკეთებული, როელიც ითვალისწინებდა მოლაპარაკებებს ზემოთ აღნიშნულ სფეროში და ასევე ურთიერთობების გაღრმავებას და უსაფრთხოებისა და ურთიერთობების სფეროში სხვა მრავალ ღონისძიებათა ჩატარებას. ამის შემდეგ უკვე მომავალ წლებში ნატოს მხრიდან არაერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად.

კარგად არის ნცობილი,ნატო-ს დიდი ძალისხმევის შედეგად “ცივი ომის”დროს მოახდინა მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილება. აქედან გამომდინარე, საბოლოოდ მიმოვიხილოთ რამ განაპირობა ნატოს გამარჯვება “ცივ ომში”. მნიშვნელოვანი მომენტი იყო ის ,რომ ნატო ვარშავი ბლოკისგან განსხვავებით იყო წარმოდგენილი როგორც ერთიანი ორგანიზმი. დაარსების დღისგან ევროპის სახელმწიფოები ცდილობდნენ ამერიკის სამხედრო ძალები ყოფილიყო გაზრდილი რათა მომხდარიყო საბჭოთა კავშირისგან დაცვა. ამიტომ აშშ-ს ქვედანაყოფების, იარაღების და სხვა სამხედრო კონტინგენტის, ევროპის ტერიტორიაზე განლაგება იყო ნებაყოფლობითი, რადგან ევროპის ქვეყნების მოსახლეობა ათვალისწინებდა საბჭოთა კავშირიდან მომავალ საფრთევებს.

ამ პერიოდში სსრკ-მ მოახდინა აღმოსავლეთ ევროპის ძალით გასაბჭოება და ხელისუფლებაში არადემოკრატიული საბჭოთა იდეოლოგიის მიმდევარი ხელისუფლება მოიყვანა, შესაბამისად ხალხის მხარდაჭერა ხელისუფლებას არ გააჩნდა. როდესაც ამ დროს დასავლეთ ევროპაში ხელისუფლება არჩევნების ხმი ირჩეოდა და ლეგიტიმური იყო მიმდინარეობდა მაღალი დემკრატიის პროცესი და ამ ყველაფრის გათვალისწინებით აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობას ეზიზღებოდა თავისი ძალისმიერი გზით მოსული ხელისუფლება. ზემოთ ნახსენების დადასტურება იყო ის ,რომ ხდებოდა საპროტესტო გამოსვლები პოლონეთში,შეხოსლოვაკიაში,უნგრეთში რომლებიც ძალისმიერი მეთოდით სასტიკად იქნა ჩახშობილი. ანტიკომუნისტურმა ხასიათმა იფეთქა 80-ანი წლების დასაწყისში როცა ვარშავის ბლოკში შემავალი თითქმის ყველა ქვეყანა ითხოვდა გამოსვლას. ხოლო უნდა აღინიშნოს,რომ ნატოში ყველა სახელმწიფო თანასწორი იყო,ომის გათვალისწინებითან კი,რომ აშშ-ს ყვეალზე დიდი როლი ჰქონდა ყველა გადწყვეტილების მიღება ხდებოდა კონსენუსის საფუძველზე და ყვეალ სახელმწიფოს ჰქონდა 1 ხმის უფლება. ხოლო ვარშავის ბლოკში ასე ვთქვათ მთავარი წამყვანი როლი საბჭოთა კავშირს ჰქონდა ხოლო დანარჩენი აღმოსავლეთის სახელმწიფოები სატელიტები იყვნენ.

ნატოს პოლიტიკისა და თანასწორუფლებიანობი გამო დრო და დრო ხდებოდა მისი გაფართოვება. რათქმუნდა გადამწყვეტი როლი ნატოს გამარჯვებისა იყო ეკონომიკური და სამხედრო ფაქტორები .

ნატო ბევრად ძლიერი იყო სამხედრო ძალის თვალსაზრისით ვიდრე ვალსაგი ბლოკი მითუმეტეს როცა ამერიკის შეიარაღება უფრო ახალი და ძლიერი იყო ვიდრე სსრკ-ს. უნდა აღინიშნოს ,რომ საბჭოთა კავშირს გააჩნდა რამოდენიმე სამხედრო ბაზა 6-7 ქვეყანაში ხოლო ამერიკას 1500მეტი ბაზა 34 სახელმწიფოში სადაც მინიმუმ 500 ათასი ჯარისკაცი იმყოფებოდა. ასევე ამერიკას ქონდა ის უპირატესობა,რომ მერიკას ბაზები ქონდა განლაგებული ასევე საბჭოთა კავშირის საზღვრებთან. ასევე თვალმისაქცევია ის ფაქტი ,რომ ძალიან დიდი კორუფცია არსებობდა სსრკ-ში და მის სისტემაში და ამ ფაქტება სახმედრო განუვითარებლობა გამოიწვია. ალიანსის გამარჯვების პროცესში არ შეიძლება არ აღინიშნოს გეოპოლიტიკური ფაქტორი. პირველი არის ის ,რომ გეოპოლიტიკური გავლენა დიდი ქონდა უფრო დასავლეთს. საბოლოო დარტმა ბლოკს მიაყენა მის შიგნით დაწყებულმა პროცესებმა, მოხდა მასოვრივი გამოსლვები არსებული რეჟიმის წინააღმდეგ . შემსგომ მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არჩევნების ჩატარება სადაც დემოკრატიული ხელისუფლება მოვიდა სათავეში . ასევე რესპუბლიკებში დაპირისპირებებმა და მოთხოვნება დამიკიდებლობაზე საბოლოოდ მიიყვანა იქამდე ,რომ 1991 წელს მოხდა შეთანხმების ხელმოწერა სადაც საბჭოთა კავშირი წყვეტდა არსებობას.

1.3. ნატოს სტრატეგიული კონცეფციები

ნატოს სტრატეგიული კონცეფცია “ცივი ომის” პერიოდში

- ნატოს პირველი სტრატეგიული კონცეფციები

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი თავისი დაარსების პირველივე დღიდან შეუდგა სტრატეგიული კონცეფციის შემუშავებას. თავიდან როდესაც ნატომ შემუშავა სტრატეგიული კონცეფცია მას დაერქვა “ჩრდილოატლანტიკური რეგიონის თავდაცვის კონცეფცია” აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა დაიწყო 1949 წლის ოქტომბრიდან და დაასრულეს 1950 წლის აპრილს. დოკუმენტში იყო სტრატეგია, რომელიც ასახავდა ტერიტორიული თავდაცვის ფართომასშტაბიან ოპერაციებს და ის გახდა ნატოს პირველი სტრატეგიული კონცეფცია. ამ დოკუმენტში იყო მოხსენებული, რომ ნატოს ძირითადი ფუნქცია იყო აგრესიის შეკავება და ნატოს სამხედრო ჯარები ჩაერევიან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდება პირველი ძირითადი ფუნქციის შესრულება იქნება ლოკალიზებული აგრესია და მოხდება თავდასხმა მხოლოდ ამ შემთხვევაში მოახდენდა ნატო რეაგირებას. მთავარი ელემენტი ზემოთ ხსენებული პროექტის იყო ის , რომ თითოეული სახელმწიფოს მონაწილეობა თავდაცვაში პირდაპირ იქნებოდა პროპორციული მისი ეკონომიკური, გეოგრაფიული, სამრეწველო და სამხედრო შესაძლებლობების და ნატოსთან თანამშრომლობით ეს რესურსები იქნებოდა ოპტიმალურად გამოყენებული. ასევე იყო აღნიშნული ხაზგასმით საბჭოთა კავშირის უპირატესობა ნატოსთან მიმართებაში სამხედრო რესურსების თვალსაზრისით. ამიტომ აღნიშნული იყო, რომ ნატომ უნდა უზრუნველყოს და განახორციელოს სწრაფი სტრატეგიული დაბომბვა ყველა შესაძლო მეთოდითა და საშუალებით ყველა შესაძლო იარაღის გამოყენებით.

უკვე შემუშავებული იყო დაახლოებით 50-იან წლებში “მასირებული საჰაერო დარტყმის სტრატეგია” ნატომ დაფუძნა “შეკავების განხორციელების მნიშვნელობა” ის იყო გათვლილი მის ყოველ წევრზე მოსალოდნელი საფრთხის დროს როგორი უნდა ყოფილიყო საჰაერო ქმედება ატომური ძალების გამოყენების ჩათვლით.

რეალურად სამი ძირითადი დოკუმენტი შეიცავდა ნატოს სტრატეგიას

- დოკუმენტი OK No. 6/1, ამ დოკუმენტში იყო გადმოცემული საერთო სტრატეგიული კონცეფცია.

- დოკუმენტი VK N 14/1 რომელშიც იყო წარმოდგენილი კონკრეტული მითითებები სტრატეგიული თავდაცვის დაგეგმის შესახებ.
- დოკუმენტი OK.N 13, ამ დოკუმენტში ასახულია ზემოთ ჩამოთვლილი ორივე ასოექტი, ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას რეგიონული დაგეგმის შესახებ².

სტრატეგიული კონცეფცია და მოქნილი რეაგირების დოქტრინა

უკვე 50-ანი წლების მეროე ნახევარში დაიწყო ამ სტრატეგიული მიდგომების ცვლილებების განხილვა და საკმაოდ დიდხანს გაიწელა რადგან დაახლოებით 1967 წლამდე მიდმინარეობდა განხილვის პროცესი, ამის შემდეგ ბევრი განხილვის დაფიქრის შედეგად შეჯერდნენ ერთ აზრზე ,რომ “მასირებული საპასუხო დარტყმის” სტრატეგია შეცვლილიყო “მოქნილი რეაგირების სტრატეგიით”. ეს კონცეფცია იმით იყო გამორჩეული,რომ მასში ეთმობოდა ყურადღება იმას თუ როგორ მოიპოვებდა ნატო უპირატესობას იმით რომ ეს იყო მოქნილი წინააღმდეგობის ფორმა ანუ მთავარი მიზანი იყო ის,რომ აგრესორისთვის შექმნილიყო ისეთი პირობები, რომ რაიმე სახის აგრესიის განხორციელება ყოფილიყო მისთვის მიუღებელი და დამაზიანებელი.

- პირდაპირი დაცვა რათა მოხდეს აგრესორზე თავდასხმის განხორციელება იმ დონეზე სადა ის იმყოფებოდა თავდასხმის დროს.
- წინასწარ განძრახული ესკალაცია რომელიც ითვალისწინებს დამატებით რამდენიმე გამარჯვების არჩევის შესაძლოობას.
- საერთო საპასუხო ბირთვული დარტყმა, რომელიც აღიქმებოდა როგორც დაშინების მეთოდი.

ეს დოკუმენტები იმდენად უნივერსალური იყო თავისი შინაარსით რომ ის მოქმედებდა “ცივი ომის” დასრულებამდე.

ეს დოკუმენტი რომელი ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ იყო ხელისაწვდომი და იყო გასაიდუმლოებული რადგან შიგნით იყო ასახული მრავალი სამხედრო და პოლიტიკური ღირეტივები . ეს კონცეფციები არ იყო ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის რადგან ამ დოკუმენტის და კონცეფციების ეფექტურობა ზუსტად ,რომ დამოკიდებული იყო მის გასაიდუმლოებაში. დოკუმენტში ასევე განხილული იყო “ცივი ომის ” დროს მიმდინარე პროცესები დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის მათი სამხედრო კონტროტაციის და იეოლოგიური რეალიები. ასევე როგორც ვიცი ნატო ყოველთვის ცდილობა ეწარმოებინა მოლაპარაკებები, შეემცირებინა დაძაბულობა და ცდილობდა ურთიერთობის ნორმალიზაციას საბჭოთა კავშირთან და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოებთან.

როდესაც დასრულდა “ცივი ომი” ევროპაში პოლიტიკა შეიცვალა კარდინალურად, რაც ასევე აისახა ნატოს პოლიტიკაზე , აქედან გამომდინარე დაიწყეს ახალი კონცეფციების და სტრატეგიების შემუშავება რომელზეც მუშაობა გრძელდებოდა 2 წელი იმის შემდეგ რაც დაანგირეს ბერლინის კედელი.

- **ნატოს 2010 წლის არსებული კონცეფცია**

2010 წლისსტრატეგიული კონცეფცია “ათიური მონაწილეობა თანამედროვე თავდაცვა”ეს არის მკაფიო განცხადება ნატოს ძირითადი გადაყვეტილებებისა და ღირებულებების შესახებ.ეს არის მისი ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები მომდევნო 10 წლის განმავლობაში.

კონცეფციაში ნატო აღწერილია როგორც “უნიკალური საზოგადოება რომელიც, რომელიც დაფუძნებულია, ადამიანის თავისფულებების, გემოკრატის,პიროვნული

თავისუფლების და კანონის უზენაესობის ღირებულებებზე”

მასში წარმოდგენია ნატოს სამი უმნიშვნელოვანესი მიზანი-კოლექტიური თავდაცვა,უსაფრთხოება თანამშრომლობის ნდობაზე და კრიზისების დარეგულირება, ასევე ტრანსატლანტიკური ურთიერთობების აუცილებლობა და რეფორმების გატარება. დოკუმენტში განხილულია ახლანდელი უსაფრთხოების გარემო, მითითებულია თუ როგორი პოლიტიკური კურსებები იქნება რეალიზებული, ამ ყველაფრის მიზანი ის არის,რომ უზრუნველყოს ნატოს თავდაცვის უნარიანობა, რომ შეეძლოს საფრთხის შეკავება და მოახერხოს კრიზისულ სიტუაციებში რეაგირების მოხდენა,ეს იმისთვის რომ გაუმკლავდენი დგევანდელ საფრთხის შემცველ გამოწვევებს. ამ საფრთხეებში მოიზარება ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების გავრცელებას, ასევე ტერორიზმის საფრთხეს კიბერშეტევებს და სხვას.

ასევე სტრატეგიულ კონცეფციაში ნახსენებია ის ,რომ ნატო ცდილობს გააძლიეროს საერთაშორისო უსაფრთხოება თანამშრომლობით და მოლაპარაკებების წარმართვის გზით. ამ მიზნის მისაღწევად და მის შესანარჩუნებლად ალიანსი მეტ ძალისხმევას მოახმარს განიარაღების,ზოგადად იარაღის კონტროლს და იარაღის გაუვრცელებლობას, დიდ ყურადღებას ასევე ნალიანსი ამახვილებს ღია კარის პოლიტიკაზე რომელიც მიმართულია ევროპის ყველა სახელმწიფოზე და კიდევ უფრო გაზრდის პარტნიორობას,ამის გარდა ნატო გააგძელებს რეფორმებს და ტრასფორმაციის პროცესს.

ნატოს უმნიშვნელოვანესი ამოცანები და პრინციპები

სტრატეგიულ კონცეფციაში კვლავ არის მიმაგრებული შეუსვლელი ნატოს მიზნები,ღირებულებები, ამოცანები და პრინციპები. უსაფრთხოების სფერო დღევანდელ პირობებში მოიცავს ნატოს წევრი ქვეტნების ტერიტორიის და მოსახლეობის უსაფრთხოების და გამოწვევების ფართო სპექტრს. ამ ქვეყნების და მათი მოსახლეობის

უზრუნველსაყოფად ნატომ უნდა გააგრძელოს ეფექტურად შეასრულოს, საერთაშორისო სამართლის მიხედვით სამი ძირითადი ამოცანა რომელიც აუცილებელია მისი წევრებისთვის.

- **კოლექტიური თავდაცვა**- ამ ამოცანის თანახმად ნატოს წევრი ქვეყნები ერთმანეთს გუნდურ დახმარებას მტრის თავდასხმის დროს ანუ ერთზე თავდასხმა ნიშნავს ყველაზე თავდასხმას, ეს ვალდებულება რჩება მტკიცედ და არ იცვლება.
- **კრიზის რეგულირება**-ნატოს გააჩნია უნიკალური სამხედრო და პოლიტიკური მეთოდები იმისთვის,რომ გადალახოს ნებისმიერი კრიზისული სიტუაცია, როგორც კონფლიქტის ასევე კონლოფიქტის დასრულების შემდეგ კი. ნატო აქტიურად გამოიყენებს თავის სამხედრო და პოლიტიკურ შესაძლებლობებს რათა იქნეს ყველანაერი კრიზისი გადაჭრილი და არ შეექმნას საფრთხე ალიანსს.
- **უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე**- ნატოს ეხება და მასზე გავლენას ახდენს პოლიტიკური და არამართო პოლიტიკური მოღენები ეს სეიდლება იყოს მოღენა უსაფრთხოების სფეროში,მაგრამ ამავდროულად ნატოსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ პროცესებზე. ნატო აქტიურად იმუშავებს და ითანამშროლებს როგორც სახელმწიფოებთან ასევე საერთაშორისო ორგანიაციებთან რათა მოხდეს მშვიდობის განმტკიცება მსოფლიოში. ნატო დიდ როლს თამაშობს იმაში,რომ არ მოხდეს იარაღის გავრცელება და ასევე განიარაღებაში ნატოს კარი ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის არის ღია რათქმუნდა თუ ისინი აკმაყოფილებენ ნატოს მოთხოვნებს.

მაშასადამე საბოლოო ჯამში,ჩვენს მიერ აღწერილი სტრატეგიული კონცეფცია ზახს უსვამს გადანწყვეტილების ისეთ გზებს, რომელთა იზანია ნატოს ეფექტურობის გაზრდა , მისი სამუშაო მეთოდების დახვეწა და მისი რესურსების უფრო გონივრულად გამოყენება კონცეფციაში განსზაძღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.

თავი II. „ნატოს ტრანსფორმაცია და რუსეთის ახალი სტრატეგიული გეგმა ცივი ომის შემდეგ“

2.1. რუსეთის სახელმწიფოებრიობის განვითარების გეგმა „ცივი ომის“ შემდეგ

„ცივი ომის“ დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ თავი გამოაცხადა სსრკ კავშირის სამართალმემკვიდრეთ. რუსეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ შენარუნებული იქნებოდა დემოკრატიული სახელმწიფოს შენების კურსი.

1991 წლის 12 ივნისს არჩევნის შედეგად „ბორის ელცინი“ იქნა არჩეული „PCΦCP“-ის პირველ პრეზიდენტად³. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაცია როგორც სხვა საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნები დადგა პრობლემის წინაშე თუ როგორ უნდა ეარსება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ქვეყნის ხელმძღვანელობასა და სოციალურ-პოლიტიკური პარტიების წინაშე, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ძლიერ და დემოკრატიულ ქვეყნის ჩამოყალიბებაში, სასწრაფოდ დადგა საკითხი, მოეძებმა თუ სახელმწიფო მონაცემების ცივილიზებული სისტემა თანამედროვე ტრანსფორმაციის პირობებში. აუცილებელი იყო გადასვლა სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე და დემოკრატიული მართვადობის ფორმაზე, შექმნილიყო რუსული სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი სამუშაოები, აეშენებინათ ისეთი სახელმწიფო რომელიც ემსახურებოდა თავის ხალხს, ისეთი სახელმწიფო რომელიც ადგენს და იცავს წესრიგს, იცავს ხალხს ანარქიისგან, ასევე უზრუნველყოფილი ყავდეს სოციალურად დაუცველები და ყველანაირად დადგომოდა მათ გვერდში.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ უნდა ჩამოყალიბებულიყო ახალი სახელმწიფოს საფუძვლები. პირველ რიგში მოხდა

საპრეზიდენტო სტრუქტურების ჩამოყალიბება, ბორის ელცინის დროს შეიქმნა პრეზიდენტის საბჭო, უსაბრთხოების საბჭო და ასევე შეიქმნა სახელმწიფო მდივნის პოზიცია. უშუალოდ პრეზიდენტი მიერ მოხდა მთავრობის ჩამოყალიბება, ყველა დანიშვნები ხორციელდებოდა ელცინის მიერ ბრძანების საფუძველზე. რეფორმების დაწყების შემდეგ ასევე ყლიბდება ოპოზიცია, თვითონ ოპოზიციის ცენტრი იყო რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭო იყო. კონსესუსამდე ვერ მისულა პრეზიდენტსა და საბჭოს მიერ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, ხოლო კონსტიტუციის შეცვლა კიდევ შესაძლებელი იყო სახალხო დეპუტატების მონვევით ან სახალხო რეფერენდუმის ჩატარების მიერ. ამ მოვლენება კარგი შედეგი არ გამოიღო საბოლოოდ ელცინის განცხადებებმა და მოქმედებებმა მისი პრეზიდენტის სავარძლიდან გადადგომამდე მიიყვანა, მაგრამ შემდგომში თეთრი სახლის დაცხრელით და მისი პოსტის დაბრუნებით დამთავრდა.

ბორის ელცინი შიდა პოლიტიკის სფეროში მიყვებოდა პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის პროცესს, როგორც ზედაპრულად ვახსენეთ 1993 წლის გამონვეულმა შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობაში, მაგრამ ელცინა შეძლო გაემარჯვების მოპოვება "ალექსანდერ რუცკის" და რუსეთის უმაღლესი საბჭოს მხარდამჭერების ჭინაალმდე, შედეგად ელცინი დარჩა საკუთარ პოსტზე და ქვეყანა აგრძელებდა აღებული კურსისკენ მოძრაობას, ხოლო ყველა მონინაალმდევე ლიკვიდირებულ იქნა.

ელცინის დროს შამოყალიბდა რუსეთის პოლიტიკური სისტემის კონსტიტუციური საფუძვლები. ხოლო ამის შემდეგ 1993 წელს იქნა მიღებული რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია. რუსეთი გარდაიქმნა საპრეზიდენტო ტიპის რესპუბლიკად, ასევე იყო მიღებული მნიშვნელოვანი ფუნდამენტური საკანონდებლო კოდექსები.

ელცინის კონსტიტუციამ საგძნობლად შეცვალა უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა მოხდა ძალაუფლების გადანაწილება რითაც ჩაუყარა საფუძველი რუსეთის დემკრატიულ სტრუქტურას. სეპარატიზმთან ბრძოლის და სახელმწიფოს დაშლის საშიშროების გამო ელცინმა 1994 წელს შეიყვანა ჯარები ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. ამ ოპერაციის

ოფიციალური დასახელება იყო -“კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში” ეს ოპერაცია გრძელდებოდა 1994 წლის 11 დეკემბრიდან 1996 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. მოგვიანებით ასევე ჩატარდა კონტრეტორისტული ოპერაციები ჩრდილოეთ კავკასიაში. კონსტიტუციური რეფორმებისა და სხვა პოლიტიკური კონსტიტუციური რეფორმების გარდა ტარდებოდა ასევე სხვა რეფორმებიც , ეს რეფორმებ იყო მიმართული იმისკენ რომ ქვეყანა გამოყვანილი ყოფილიყო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისიდან,მაგრამ ეს რეფორმები გრანდიოზული ტოტალური წარმატებით არ გამორჩეულა. ეკონომიკის დარგში გატარებულ იქნა ფასების ლიბერალიზაცია , ლიბერალიზაცია უცხოური ვაჭრობის , ჩატარდა პრივატიზაცია, გამოცდადდა ბრძოლა ინფლაციასთან, შეიცვალა მსხვილი სასოფლო სამეურნეო წარმოების ტიპი. გარდა ამისა რეფორმები იქნა გადარებული შემდეგ დარგებში: სასამართლო, ადგილობრივ თვითმართველობაში, სამხედრო,საგანმანათლებლო, პენიტენციურ და სხვა სისტემებში.

რა შეეხება რუსეთის საგარეო პოლიტიკას ელინის პერიოდში მოკლედ რომ მიმოვიხილოთ, შეგვიძია დავყოთ ორ ნაწილად : 1991 წლებიდან მოყოლებული 1996 წლამდე მცდელობები დასავლეთთან დაახლოების რომელიც წარუმატებელი გამოდგა იმდროისთვის რუსეთი უკვე სხვა სახელმწიფო იყო და არწამოადგენა ისეთ ძალას როგორც საბჭოთა კავშირი და რუსეთს უყურებდნენ როგორც ცივ ომში დამარცხებულ სახელმწიფოს. ასევე აღსანიშნავია 1996-1999 წლები თანაბარი ურთიერთობების დამყარებაში ევრო -ატლანტიკურ სახელმწიფოებთან ეს მცდელობაც წარუმატებელი გამოდგა, ამის შემდეგ მოხდა ურთიერთობების ორიანტაციის აღება და ურთიერთობების დათბობა ჩინეთთან, ინდოეთთან და სხვა აზიურ სახელმწიფოებთან.

ელცინის სტრატეგია იყო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები,მიზანი ასევე იყო გზების გამონახვა,რომ მოხდარიყო დაახლოება დასავლეთთან, თუმცა ეს ყველაფერი ვერ მოხდა რათა მოხდა ელცინის დაახლოებულ წრეებში ბლზოლა ფულისა და ძალაუფლების გამო. რეფორმებში იღებდნენ განათებული და გამბედავი ახალგზარდა

რეფორმატორები თუმცა ამ კადრებისმიერ იქნა გამლენილი სისუსტე და არაკომპეტენტურობა, ამ წარუმატებლობის შედეგად მოხდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება ოლიგარქების მიერ. რუსეთში ადგილობრივი მართველები თავისი ინტერესების მიხედვით იქცეოდნენ. ელცინის და მისი გუნდის მიერ გამოყენებული მეთოდების გამო შეენირა სისტემა რომელიც უნდა დაფუძნებულიყო თავისუფლებაზე და დემოკრატიაზე. დისკრედიტირება მოხდა საბაზრო ეკონომიკის , დასავლეთის ღირებულებების და მრავალპარტიულობის ელცინის მიერ წარმოებული პოლიტიკის გამო. ამის შედეგად რუსეთის ეროვნული ინტერესების დაუცველობა მოხდა. ამის გამო მოხდა მთავრობის კრიტიკა და მათზე დაიწყო ზენოლა ,ამის შედეგად მოხდა პრეტენზიების გამოთმეა ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანასწორ უფლებიანობაზე.

გაურკვეველი გახდა რუსეთის საგარეო ინტერესები და ამბიციები დაახლოებით 1996 წლისთვის,ეს ყვეალფერ იყო გამოწვეული იმით,რომ რუსეთი ცდილობდა ყოფილ სობჭოთა ტერიტორიაზე ეთამაშა უსაფრთხოების და ეკონომიკური გამაერთიანებლის როლი.ამი გამო მოხდა მოხა სახელმწიფოს სურვილებისდ ა ამბიციების დროებით უკანა პლანზე განევა რათა მოხმდარიყო რესურსების მორგება და მობილიზება მიზნების განსახორციელებლად. რუსეთის საგარეო მინისტრი პრიმაკოვი იყო ის ადმიაანი რომელმაც რუსეთის საგარეო პოლიტიკა გახა უფრო ლოალური და პრაგმატული ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიმართ. მან აღადგინა რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკური სტრატეგიული მიმართულება. მოხდა სახელმწიფოს შიგნით რეფორმების განხორციელება და წარმეტების შედეგად რუსეთმა მოახერხა აღედგინა დიდი სახელმწიფოს სტატუსი. ელცინის მართველობას საბოლოოდ მოელო ბოლო რუსეთში ეკონომიკური კრიზისის გამო.სიტუაციამ დიდი მაშტაბების ცვლილებები მოითხოვა, ამიტომ მოხდა უსახური კანდიდატურის შერჩება რათა მოხმდაიროყ ელცინის გარემოვისძალაუფლების და სიმდიდრის შენარჩუნება. პუტინმა მარტივი გეგმა აირჩია და საზოგადოებაში უახლოესისადმი შიში ჩაუნერგ ასაზოგადოებას. ამის შემდეგ მოხდა ჩეჩნეთში ომის განახლება და მით პუტინი რუსეთის გმირად იქცა.

1991 წლის სექტემბერში ბორის ელცინის ხელმძღვანელობით რუსეთის ფედერაციაში მუშავდება პროექტი რათა მომხდარიყო საბჭოთა კავშირის გარდაქმნა, ამ პროექტზე პირადად ელცინის მრჩეველები მუშაობდნენ. 1991 წლის პირველ ოქტომბერს იყო წარდგენილი “რუსეთის სტრატეგია გარდამავალ პერიოდში” მას ასევე უწოდებდნენ “ბერბულინის მემორანდუმს”. ამ სტრატეგიის ძირითადი იდეა იყო “PCΦCP”-ე ექცია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რომელი საერთაშორისო არენაზე გახდოდა საბჭოთა კავშირის ერთადერთი სამართალ მემკვიდრე. მთავარი გათვლა იყო იმაზე, რომ რუსეთის ფედერაციას გააჩნდა მდიდარი და ბევრი რესურსი ასევე ძლიერი სამხედრო ძალა და ამით შეძლებდა სხვა რესუბლიკების მოზიდვას და მოახდებდა თავისთვის ხელსაყრელ პირობებში მათთან ინტეგრაციულ ურთიერთობების დამყარებას.

ვლადიმერ პუტინი

1999 წლის 31 დეკემბერს ბორის ელცინმა გააკეთა თავისი პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების შესახებ და პრეზიდენტის მოვალეობების შემსრულებლად დანიშნა იმდროინდელი პრემიერ მინისტრი ვლადიმერ პუტინი. 2000 წლის მარტში გაიმარჯვა პრეზიდენტი არჩევნებში და გახდა რუსეთის ფედერაციის მეორე პრეზიდენტი. პუტინის შიდა პოლიტიკაში ფედერაციული სავტოს ფორმირების ცვლილება კონსტიტუციურ-პოლიტიკურ სისტემაში პირველი მნიშვნელოვანი რეფორმა იყო . საკადრო პოლიტიკაში პუტინის დროს დიდ პოსტებზე ინშენებოდა მისი მეგობრები , კურსელები და კოლეგები კაკებდან. ელცინის მთავრობის შემდეგ სახელმწიფოს ახალ მეთაურს სახელმწიფო არც თუ ისეთ სახარბიელო მდგომარეობაში დახვდა, ძალიან ბევრი ეკონომიკური, სოციალური და პილიტიკური პრობლემა იყო. რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი იმ დროისთვის ჩინეთთან შედარებით 5-ჯერ ნაკლები იყო ხოლო ამერიკასთან შედარებით 10ჯერ.

პუტინმა 2000 წლის 25 თებერვალს გამოაქვეყნა ღია წერილი ამომრჩევლისთვის რომელიც მოეკლედ იყო აღწერილი რეფორმები შემდგომი სახელმწიფოებრიობის განვითარებისთვის და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგა მის რელიზებას. ეს გარდქმენბი

რომელიც უნდა მოხმდარიყო შეიცავდა 4 ძირითად პრინციპს:

- სოციალური პრობლემების გადაწყვეტა და სიღარიბესთან ბრძოლა
- შიდა ადგილობრივი ბაზრიდან ოლიგარქების და კრიმინალური დაჯგუფებების გაქრობა
- რუსეთის ღირსების აღორძინება ქვეყნის მოქალაქეების პირადი ღირსების გაზრდით
- საგარეო პოლიტიკის შექმნა რუსეთის ინტერესების საფუძველზე

პუტინმა ხელი შეუწყო ოლიგარქების გაქრობას სახელმწიფო ძალაუფლების სტრუქტურებიდან, ამის შემდეგ მოხდა კონფლიქტი ხელისუფლებასა და რამოდენიმე დიდ ოლიგარქს შორის. ეკონომიკურმა რეფორმებმა შეამცირა სახელმწიფოში გაჭირვებულთა რიცხვი.

ოლიგარქებთან ბრძოლას რათქმაუნდა საკმაო დრო დასჭირდა, მაგრამ საბოლოოს მოხდა მათი დამარხება და ყველაზე გახმაურებული შემთხვევა იყო ბორის ბერეზუცკი, რომან აბრამოვიჩი და ასევე მიხაილ ხაღარსკოვსკი მათ წინააღმდეგ ხელისუფლებამ გამარჯვების მოპოვება მოახერხა. მოხდა ასევე ფედერალური რეფორმა და შექმნილი იქნა 7-ი ფედერალური ოლქი. ამასთან ერთად მოხდა საკანონდებლო რეფორმა, რადგან ელცინის დროს ადგილობრივი კანონები ეწინააღმდეგებოდა ფედერალურ კანონებს რის შედეგადაც ხშირად იქმნებოდა ქაოსი.

საგარეო პოლიტიკა

იმისთვის, რომ ჩვენ გავიგოთ პუტინის პრეზიდენტობის პირველი წლების საგარეო პოლიტიკა უნდა შევისწავლოთ მისი მოსაღვაწეობა საშინაო პოლიტიკასა და ეკონომიკასი. პუტინი ცდილობს რადგინოს რუსეთის ძველი სიდიადე ეს პერიოდი მოიცავს

2000-2003 წლებს⁴. მისი აზრით რომ მოხდარიყო საზღვრებს გარეთ რუსეთის პატივისცემის მოვლავლება ამისთვის იყო საჭირო ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება. პუტინი საგარეო პოლიტიკას ხედავდა არამარტო ეკონომიკური და პოლიტიკური შემოსავლების წყაროს არამედ თვითონ მოსახლეობაში სახელმწიფოს მიმართ პატივისცემის მოპოვებასა და ამალღების საშუალებას.

ამიტომ მან საგაეო პოლიტიკა გამოიყენა ქვეყნის შიგნით პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის დალაგების იარაღად. პუტინმა სახელმწიფოში გაზარდა თავისი გვლენა და დაამყარა კონტროლი საგარეო პოლიტიკური გადწყვეტილებების მიღებაზე,რაზეც მის წინამორბედს ელცინს არ უზრუნია და შეიძლება ითქვას პუტინმა წინარმობედის შეცდომები არ გაიმეორა. პუტინის ასეთი მკაცრი კონტროლის მიუხედავად გარე სამყაროსთან ურთიერთობასთან დაკავშირებით რთული იყო რაიმე სტრატეგიის დანახვა სგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში. პუტინს ქონდა ხედვა,რომ გაეძლიერებინა სახელმწიფო და ამ გზით ექცია რუსეთი საერთაშორისო დამოუკიდებელ მოთამაშედ, ეს იყო დაფუძნებული იმაზე რომ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტას შორის შედგა კონსენსუსი იმის თაობაზე,რომ რუსეთი იყო დიდი დაძლიერი სახელმწიფო უბრალოდ იმ დროისთვის იყო დასუსტებული,მაგრამ მას გააჩნდა მრავალი ინტერესი სხვა და სხვა რეგიონში.რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე აკეთებდა აქენტს საერთაშორისო სისტემის შენარჩუნებაზე ,როელიც გულისხმობდა გაერო-ს დიდი წახელმწიფოები წარმოადგენდნენ მსიოფლიო მშვიდობის მთავარ გარანტს.

ამ პერიოდში შექმნილი საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები ასახავდნენ სრულად რუსეთის ხედვას სამყაროსადმი. 2000წელს პუტინმა მიიღო საგარეო პოლიტიკის კონცეფცია რომელშიც უმეტესად არის აქცენტი გაკეთებული "დიდი სახელმწიფოს" ცნებაზე. ზემოთ აღნიშნული კონცეფცია არის გეოპოლიტიკური ენით დაწერილი და მოგვითხრობს,რომ მსოფლიო არის შემდგარი ძალაუფლებისთვის და ეროვნული ინტერესებისთვის მებრძოლი სახელმწიფოებით. ამ დროისთვის რუსეთი უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო ურთიერთობებში ორ მხრივ ურთიერთობებს

როგორებიცაა, ჩინეთი, ინდოეთი და აშშ. რუსეთის მოსაზრებით ორმხრივი ურთიერთობების უნარჩუნებს სახელმწიფოებს სუვერენულ თანასწორობას. რუსეთი ხშირ შემთხვევაში მონაწილეობას იღებს ისეთ ორგანიზაციებში სადაც მას შეუძლია მოახდინოს გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე რათა ეს მიღებული გადაწყვეტილებები გამოიყენოს მისი ინტერესების შესაბამისად. იმ პერიოდში რუსეთისთვის საერთაშორისო არენაზე გავლენის და პატივისცემის მოპოვება იყო ეკონომიკური სტაბილურობა სახლში. პუტინის პოლიტიკას სახელმწიფოს გაძლიერებასთან მიმართებაში საფუძვლად ედო 90-ბის ბოლოს ეკონომიკური ექსპანსია.

ენერჯო რესურსებზე მოხდა ფასების ზრდა მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა საგარეო ვალი დაფარვას რათა შემცირებულიყო რუსეთზე საგარეო ბერგეკები და ასევე ხმარდებოდა სამხედრო ძალის მოდერნიზებას. ეკონომიკური ექსპანსიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ნავთობ კომპანია იუკოს ხელში ჩაგდება. ენერჯორესურსების მონოპოლიის ხელში ჩაგდებით კრემლმა მოახდინა სრული კონტროლის დამყარება ნავთობისა და გაზის ექსპორტზე , ეს ყველაფერი იყო რუსეთისთვის სტრატეგიულად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ქვეყნის შიგნით აქტიური სამუშაოების ჩატარების პერიოდში რითაც ხდებოდა ძალაუფლების განმტკიცება, იმდროისთვის პუტინის პრეზიდენტობის პირველ წლებში ატარებდა წყნარ საგარეო პოლიტიკას. რუსეთის მცდელობა იყო საკუთარი ინტერესები დაეცვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე, მაგრამ იმ პერიოდში რამე სერიოზული პროექტი არ განუხორციელებია რადგან თავს იკავებდა აშშ-სთან კონფლიქტისგან. პუტინი ცდილობდა მაქსიმალურად აერიდებინა თავი დაპირისპირებებს რათა მან იცოდა ,რომ წინასწარვე იქნებოდა განწირული და ამიტომ ის მაქსიმალურად უზრუნველყოფდა საკუთარი რეფორმების განხორციელებას ისე ,რომ არმომხდარიყო რამე შეფერხება. რუსეთი ატარებდა პასიურ საერთაშორისო პოლიტიკას განსაკუთრებით აშშ-ს თან. პუტინს სათავეში მოსვლის პირველ წლებში რუსეთი ნაკლებად გამოთქვამდა პროტესტს აშშ-ს ქმედებებზე ვიდრე ეს ხდებოდა ელცინის დროს . იმიტომ ,რომ მაშინდელ რუსეთს არ

გააჩნდა ვაშინგტონზე გავლენის ბერკეტები, თორემ რომ ქონოდა შესაძლებლობა აუცილებლად გამოთქვამდა უთანხმოებას იმაზე, რომ იმ დროისთვის აშშ-მ განალაგა ჯარები ცენტრალურ აზიაში ნატოს გაფართოება და სხვა.

რუსეთის ურთიერთობები ევროპასთან ყოველთვის ეკონომიკური მოსაზრება დომინირებდა. როგორც ვიცით ევროპა არის უმსხილესი რუსეთის პარტნიორი და ევროპა მოიხმარს რუსეთის გაზს და ნავთობს.

თუმცა რუსეთი უპირატესობას ანიჭებდა ურთიერთობის წარმართვას პირდაპირ ევროპის დიდ სახელმწიფოებთან როგორც ორმხირ ურთიერთობას და არა პირდაპირ ევროკავშირთან. პუტინი თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში მაქსიმალურად ცდილობდა ევროკავშირთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას და არ ეწინააღმდეგებოდა მათ გაფართოებას. პუტინს ქონდა გათვლა რომ ევროპა ჩამოეყალიბებინა როგორც უმთავრეს ენერგეტიკულ ბაზრად და თექნოლოგიისა და ინვესტიციების მხრივ უმთავრეს წყაროდ. პუტინი ეკონომიკური სარგებელის გარდა ცდილობდა თბილი ურთიერთობები დაემყარებინა ევროპის სახელმწიფოებთან რათა შემდეგ ისინი გამოეყენებინა, რომ ზეგავლენა მოეხდინა აშშ-ზე. პუტინმა შეამჩნია, რომ როდესაც აშშ გამოვიდა ბალისტიკური რაკეტების ხელშეკრულებიდან ამას მოჰყვა უთანხმოება და განხეთქილება ევროპაში და ცდილობს, რომ გამოიყენოს ეს ბერკეტები როგორც აშშ-ს ისევე ევროპის წინააღმდეგ.

ასევე აუცილებელია მიმოვიხილოთ რუსეთის საგარეო პოლიტიკა აზიაში სადაც რათქმაუნდა უმთავრესს ინტერესს ჩინეთი წარმოადგენს კრემლისთვის. 1996 წლიდან ჩინეთსა და რუსეთს შორის მოდა სტრატეგიული ურთიერთობის განვითარება, 5 წლის გასვლის შემდეგ კი გააფორმეს ხელშეკრულება “კარგი მეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის” შესახებ. რამოდენიმე დროის გასვლის შემდეგ ჩინეთი უმსხილეს იმპორტიორად ჩამოყალიბდა რუსული იარაღის შესყიდვაში. რუსეთისვის მნიშვნელოვანი იყო რომ კონკურენტული ადგილი დაეკავებინა იარაღის ექსპორტის თვალსაზრისით ჩინეთი, ინდოეთის და ირანის ბაზარზე.

ყველაზე მთავარი გამოწვევა საგარეო პოლიტიკაში იყო 2003-2004 წლების პერიოდში. მეზობელ ქვეყნებში საქართველოში და უკრაინაში მოხდა რევოლუციები ასევე ერაყში მოხმდარი კრიზისი, აქედან გამომდინარე რუსეთმა შეცვალა თავისი საგარეო პოლიტიკა და "კონცენტრირებული პოლიტიკა" უკან პლანზე გადადო და დაიწყო ქტიური საგარეო პოლიტიკა. რუსეთისთვის საგარეო პოლიტიკაში მთავარი ბერკეტი იყო ეკონომიკა და ენერგორესურსები იყო. რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზანი იყო ყოფილ საბჭოთა ტერიტორიებზე ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელება და ამ ბერკეტების მათზე ზეწოლით გამოყენება.

გაზპრომის როლი

ანატოლი ჩუბაისი მიერ მოხდა "ლიბერალური იმპერიის" ჩამოყალიბების თეორია რომელიც მან წარადგინა 2003 წელს. თეორიის თანახმად რუსეთს უნდა მოეხდინა ახალი ძლიერი იმპერიის აშენება ყოფილი საბჭოთა კავშირის ნამსხვრევებზე. რუსეთს უნდა მოეხდინა თავისი კულტურის პოპულარიზაცია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ეს იყო ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა და ასევე მოხმდარიყო იმ ტერიტორიებზე რუსულენოვანი მოსახლეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე მოეხდინა წამყვანი ფიგურის როლის დაკავება ამ სახელმწიფოებში ბიზნესის და ვაჭრობის დარგში. როგორც იყო ზემოთ აღნიშნული მთავარი ადგილი ჩვენს მიერ განხილულ თეორიაში უკავია ეკონომიკას და უმთავრესად ენერგორესურსების მაკსიმალური გამოყენება. მთავარი იარაღი იმდროისთვის პუტინის საგარეო პოლიტიკის ფაზაში იყო უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მის მფლობელობაში არსებული გაზის ხელში ჩაგდება. პუტინმა 2003 წელს დაამტკიცა ენერგეტიკული სტრატეგია რომლის შედეგად ენერგეტიკული პოლიტიკა რუსეთის დიპლომატიის საფუძველი გახდა. ძლიერი რესურსების ინდუსტრის შედეგად უნდა მომხდარიყო გეოპოლიტიკური პოზიციებისა და ინტერესების გასაძლიერებლად. ეს ყველაფერი შეიცავდა 4 ნაბიჯს:

- არუნდა მომხდარიყო ევროპის მიერ რუსეთის ენერგეტიკული რესურსების, რათქმაუნდა განსაკუთრებით გაზის იმ გზების და წყაროების დივერსიფიკაცია

სადაც რუსეთი ახორციელებდა მინოდებას.

- უნდა მომხდარიყო საერთაშორისო კონტროლის გაძლიერება გაზის ბაზარზე, რათქმუნდა რუსული ენერჯო კომპანიების მიერ.
- უნდა გაკონტროლებულიყო გაზის მინოდების(დასავლეთში) ყველა ეტაპი, ეს ეხებოდა რესურსების მოპოვების კომპანიას , დისტრიბუციულ კომპანიებს რომელბიც ახორციელებდნენ გაზის გადატანას , მოკვლდ უნდა მომხდარიყო ყველა რგოლი გაკონტროლება.
- ეს ყველა აქტივი გამოყენებული იქნება ზენოლის იარაღად პოლიტური ზენოლის რასკვირველია.

გაზპრომი იმის გარდა,რომ ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში მიიღტვოდა იმისკენ,რომ გაეყვანა თავისი მისაღდენები და ასევე ცდილობდა,რომ ევროპაში გაეზარდა სამომხარებლო წილი და პროცენტი ცდილობდა აფრიკის, ახლო და შორე აღმოსავლეთის და ასევე სამხრეთამერიკის ბაზარზე მოეხდინა შესვლა. ამ გლობალური ექსპანსიის პერიოდში რუსეთმა მაინც ფოკუსირება მოახდინა თავის მთავარ ბაზარზე ევროპასა და უმთავრეს დერეფანზე ეს იყო დსთ და აღმოსავლეთ ევროპა. ევროკავშირი 60 % იმპორტის გაზს მოიხმარს, რომელსაც 30% მეტს რუსეთიდან იღებს .

გაზპრომი ცდილობს ევროპაში და დსთ-ში გახდეს საკონტროლო პაკეტის მფლობელი ენერჯოკომპანიების დარგში, ამით ის შეძლებს როგორც კონტროლის და გავლენის შენარჩუნებას გზებზე , ასევე იქნება მოთხოვნა მის პროდუქტებზე. იმის დანახვა თუ როგორ აწარმოებს გაზპრომი თავის საქმიანობას საღვარ გარეთ სამაოდ რთულია რადგან ის დიდ ძალისხმევას ხარჯავს ხარჯავს რომ დაფაროს ეს ყველაფერი ოფშორული კომპანიების მიერ.

მთავარი საგარეო მიღწევა პუტინის იყო ის ,რომ მან მოახდინა ხელი შეუშალა ევროკავშირს რუსეთის გაზის დამოკიდებულებაზე უარის თქმას და ერთიანი პროექტის

განხორციელებას , მან ეს მოახერხა ძველი მეთოდის შედეგად : დაყავი და იბატონეს პრინციპით ეს ნიშნავს იმას,რომ მან ცალ-ცალკე მაოხდინა სახელმწიფოებთან ურთიერთობის წარმართვა და არა ევროკავშირთად როგორც ერთიან ორგანიზმთან.

გაზპრომმა მოახდინა ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების გაფორმება 2006 წელს , ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა არის ის ,რომ რუსეთი მომავალშიც იქნება ევროპისთვის მთავარი გაზის მიმწოდებელი .

2007 წელს მიუნხენში უსაფრთხოები კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ვლადიმერ პუტინი, მისი პრეზიდენტობის პერიოდში მის ეს გამოსვლა სიტყვით იყო ყველაზე მწვავე, მან გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები, მისი სიტყვით ამერიკა მოქმედებდა ცალმხრივად საერთაშორისო ურთიერთობებში, ასევე მან თქვა რომ აშშ ცდილობდა მსოფლიოში შეექმნა უნიპოლარო მსოფლიო რითაც საფრთხე ემქნებოდა მსოფლიოში მშვიდობას. პუტინის ამ გამოსვლაც აჩვენა რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთ -აშშ-ს ურთიერთობები ყველაზე ცუდ პერიოდში იყო. პუტინის ამ გამოსვლით რასკვირველია აშშ არ შეცვლიდა თავის პოლიტიკას ,ამიტომ ამ გამოსვლას შეიძლება რამდენიმე ახსნა ქონდეს: ამით პუტინმა ცადა იმ ქვეყნების ლიდერად მოეველინა რუსეთი რომლებიც იყვნენ ამერიკის წინააღმდეგ ნეგატიურად განწყობილნი. ასევე ეს გამოსვლა იყო იმისთვის რომ მომხდარიყო პუტინის სახელის კიდევ უფრო მოხვეჭა ჭიდა აუდიტორიაში და მოეპოვებინა ნდობა და მხარდაჭერა იმ ხალხის ვინც იყო ამერიკის წინააღმდეგ ნეგატიურად განწყობილი. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები გამოიწვია შემდეგმა ფაქტორებმა: ნატოს გაფართოების პროცესებმა ,ასევე ერაყის ომმა , მეზობელ ქვეყნებში რევოლუციებმა და მთავრობის ცვლილებებმა ,ასევე რუსეთს უნდოდა განეწინება მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში თუმცა მტკიცე უარი მიიღო ამ ყველაფერმა გამოიწვია რუსეთის საგარეო პოლიტიკის კარდინალური ცვლილება .

ასე და ამგვარად პუტინის გამოსვლა 2007 წელს გერმანიაში გახლდად ევროპასთან კონფრონტაციის წამოწყების ნაბიჯი, მაგრამ არუნდა დავივიწყოთ ,რომ 2007 წლამდე სუვერენული დემოკრატია.

ამ ცნების ფუძემდებელი გახლდა ვლადისლავ სურკოვი, რომელმაც ეს ცნება 2006 წელს წარმოადგინა. სუვერენული დემოკრატიის შემდეგი აღწერა იყო ასეთი, მოკლედ რომ ვთვათ ხელისუფლება ირჩევა ფომირდება და ყალიბდება და ამის შემდეგ ხდება მისი მართვა საზოგადოების მიერ რასაკვირველია რუსი ხალხი იგულისხმება.

კონცეფციაში ქცენტი კეთდებოდა იამზე, რომ უნდა მოხმდარიყო ძლიერი ეკონომიკის ჩამოყალიბება და დემოკრატიული საზოგადოების გაძლიერება რითაც რუსეთის ფედერაციაზე აღარ იქნებოდა გარე ძალების გავლენა და ამის შემდეგ რუსეთი თვითონ იქნებოდა გავლენის ერთ-ერთი მთავარი სუბიექტი და სხვებზე განახორციელებდა გავლენას.

რუსეთი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი გახდა სუვერენული დემოკრატია საგარეო პოლიტიკაში რადგან თვითონ სუვერენიტეტი ნიშნავდა იმას, რომ რომ რუსეთი იქნებოდა თავისუფალი არავისგან დამოკიდებული, ეს ეხებოდა რათქმუნდა ამერიკასა და ევროპას.

შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ 2007 წლის მიუნხენის სამიტზე პუტის გამოსვლა წარმოადგენდა იმას, რომ რუსეთი თავის საგარეო პოლიტიკის ტაქტიკას ცვლიდა: ამერიკის პოლიტიკიდან გამომდინარე, რუსეთის მიმართ შეურაწმყოფელი განცხადებების გამო, ასევე არხდებოდა რუსეთის ინტერესების გათვალისწინება, ამყველაფერმა გამოიწვია ეს. 2007 წლის სამიტის შემდეგ გამოიყო ნათლად ის პუქტები რაში არ ეთანხმებოდა რუსეთი დასავლეთს. ყველაფერი ეს ასახავს პუტინის წამოწყებული ფაზების განხორციელების ლოგიკურ გაგრძელებას სადაც მოხერხდა ეკონომიკის გაძლიერება რუსეთში ძალაუფლების მოპოვება და მისი განმტკიცება, ეკონომიკური ექსანსიები, როდესაც მოახერხა ენერგო უსაფრთხოებით საგარეო ბაზარზე დამკვიდრება და ექსანსია ამის შედეგად დადგა მიღებული ბერკეტების და ძალის გამოყენების განხორციელება.

2.2. ნატო რუსეთის განვითარების დინამიკა გეოპოლიტიკური

ტრანსფორმაციის პირობებში

“ცივი ომი” დასრულების შემდეგ და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში ნატო ცდილობდა რუსეთთან დაემყარებინა ისეთი ურთიერთობა რომელი იქნებოდა პარტნიორული და თანანორუფლებიანი.

1991 წლიდან დაიწყო ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობა ამ პერიოდში “ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს წევრი გახდა. ხოლო ამის შემდეგ იყო შემდეგი ნაბიჯი როდესაც ნატოს პროგრამასთან შეეთება გახდა ამ პროგრამას ეწოდა “პარტნიორობა მშვიდობისთვის”.

1997 წელს ხელმოწერილი დოკუმენტი ოფიციალურად გახდა ორმხრივი ურთიერთობების საფუძველი.

თანამშრომლობა და დილოგის წარმართვა კიდევ უფრო გამყარდა როდესაც 2002 წელს შეიქმნა რუსეთ-ნატოს საბჭო, რომელიც შეიქმნა თანამედროვე უსაფრთხოების საკითხებზე კონსულტაციების პლათფორმად და ასევე თანამშრომლობის გაღვივებას სხვა საკითხებზე ფართო სპექტრში.

ნათელ დადასტურებას წარმოადგენს როდესაც განცხადება გააკეთა აშშ-ს თავდავის მინისტრმა რომელმაც გერმანიში გააკეთა გაცხადებები ასევე უნდა აღსანიშნავია თურქეთის პრეზიდენტის სიტყვები როდესა ის პოლონეთის იმყოფედო: მსოფლიოში ვერ იქნება მშვიდობა და უშიშროება თუ ევროპის ტრანსორფორმაციის პროცესში არ იქნება გათვალისწინებული რუსეთის ინტერესები.

ევროპის კონტინენტზე იქმნებოდა ახალი ვითარება იმის გათვალისწინებით ,რომ ნატო აპირებდა გაფართოებას. არაერთი ექსპერტი მიიჩნევდა,რომ რადგან საბჭოთა კავშირი აღარ იყო და არც ვარშავის ბლოკი, ნატოს ფუქცია იყო შესრულებული იყო და მისი პოლიტიკისახლებურად გადახედვას ითვალისწინებდა რადგან საბჭოთა კავშირის შემდეგ გაჩნდა 15 ახალი სახელმწიფო და ეს შეიძლება ყოფილიყო მომასწავლებელი ახალი

საფრთხეებისა. ყველაზე მთავარ საფრთხედ მაინ რათქმაუნდა რუსეთი მიიჩნეოდა უფრო სწორად რომ ვთქვად პრობლემად რადგან პოლიტიკურად არასტაბილური იყო იმ პერიოდისთვის,თუმცა იმ პერიოდში საკმაოდ დასუსტებული იყო როგორც სამხედრო ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით ამიტომ, შიში იმისა რომ მოხდება გლობალური ან ბირთვული ომი ფაქტობრივად არარსებობდა. მაგრამ აქ სხვა ფაქტორებიც იყო "ცივი ომის" შემდგომ მომხდარი მოვლენები რომელიც იყო პოლიტიკური დესტაბილიზაცია, ტერორიზმი, რელიგიური ფანატიზმი, ბირთვული იარაღის გავრცელების საფრთხე და სხვა მოვლენები და ვითარებები არანაკლები საფრთხის შემცველი იყო დასავლეთისთვის ამიტომ პოლიტიკის უმაღლესი წრეების წარმომადგენლები, რომ მოეხდინა ნათოს გაფართოება დაა შესაბამისად გაეზარდა მისი უსაფრთხოების არეალი და ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსაც მიეღოთ ამაში მონაწილეობა. ნატოს პოლიტიკის მწარმოებლები ხვდებოდნენ იმას, რომ რუსეთისთვის გამაღიზიანებელი იქნებოდა ნატოს გაფართოება, თუმცა ნატოსთვის უფრო პრიორიტეტული და ნიშნულზე მაღალი იყო ნატოს გაფართოება.

ნატოს, რუსეთის და აშშ-ს დაახლოება 2000 წლის დასაწყისში განაპირობა 11 სექტემბრის ტრაგედიამ როდესაც რუსეთმა აშშ-ს დაუჭირა მხარი. ამ ურთიერთობების კულმინაცია იყო რუსეთის მინაწილეობა ანტიტერორისტულ კოალიციაში და ეგრედ წოდებული რომის დეკლარაციის ხელმოწერა. "რუსეთ-ნატოს ურთიერთობები". 2003 წლის თებერვალში რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა და ნატოს მდივანმა ჯ. რობერტსონმა მოაწერეს ხელი დოკუმენტს რომელიც ითვალისწინებდა წალქვეშა ნაგების ეკიპაჟის მოძებნასა და გადარჩენას. იმ პერიოდისთვის რუსეთი არამხოლოდ მონაწილეობდა საერთო წვრთნებში არამედ ნატოსთან ერთად ერთობლივ საბმშვიდობო ოპერაციები კი ჩაატარა.

2007 წლის ივნისს, რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ფედერალურ კანონს, "ჩრდილო ატლანტიკური წევრ ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოებს შორის რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ "პარტნიორობა მშვიდობისთვის".

ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია 2008 წლის დასაწყისში როდესაც დაიწყო საუბარი მომზადება ნატოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებისთვის . მერიკამ დიდი წვრილი და ძალისხმევა ჩადო იმაში,რომ დაერწმუნებინა თავისი ნატო-ს მოკავშირეები იმის აუცილებლობაზე ,რომ გაეწევრიანებინათ მაშში საქართველო და უკრაინა.

ამერიკის პოზიციას მხარი დაუჭირეს ბალტიის პირეთის სახელმწიფოებმა, პოლონეთი,ბულგარეთი,რუმინეთი, ჩეხეთი სლოვენია, სლოვაკეთი და კანადა. ხოლო მკათიო უკმაყოფილება და უარი გამოთქვეს მაშში მიღებაზე საქართველოს და უკრაინის , გერმანიამ,საფრანგეთმა, და მათ მხარიდაუჭირეს , ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა, იტალიამ,ესპანეთმა,ბელგიამ,პორტუგალიამ. იმისდა მიუხედავად,რომ საქართველო და რუსეთი არ იქნენ მიპატიუებულები მაშის პროგრამაში მათ ნათლათ დაანახეს ,რომ მათთვის ნატო-ს კარი ღიაა და უბრალოდ ცოტა უნდა დაიცადონ. ბუქარესტის სამიტზე ნატოს წვერი სახელმწიფოების მეთაურებმა გააკეთეს შემდეგი განცხადება,რომ ნატო და რუსეთი საქართველოს წვერი ქვეყნები გახდებიან მაშინ როცა ისინი დააკმაყოფილებენ ამ ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილ პირობებს.

თუმცა, ამდროს რუსეთისთვის ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოება საფრთხის შემცველი იყო მისი ევროპაში სტრატეგიული ინტერესებისთვის.

ნატოს 2008 წლის სამიტის ბოლოს რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა იური ბალულევესკიმ გააკეთა განცხადება თუ საქართველო და უკრაინა შეუერთდებოდა ნატო-ს რუსეთი იძულებული იქნება მილოოს “სამხედრო და სხვა ზომები” რათა მოხდეს რუსეთის ინტერესების დავა სახელმწიფო საზღვრებთან. თავის მხრივ რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელმა ვლადიმერ პუტინმა რომ მხარს დაუჭერდა და გვერდით დაუდგებოდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს რომლის მეთაურებმა თხოვნით მიმართეს მას რადგან შემფოთებულები იყნენ ნატოს ასეთი განცხადებებით. როგორც ვიცით იმავე წლის აგვისტოში რუსეთის ხელისუფლებამ განახორციელა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე 2008 წლის აგვისტოში საქართველოში

არაპროპორციული სამხედრო ქმედებების შედეგების შემდეგ, "NRC"- ის ოფიციალური შეხვედრები და ზოგიერთ სფეროში თანამშრომლობა შეჩერდა 2009 წლის ბოლომდე. ნატომ განაცხადა , რომ რუსეთმა "არაპროპორციული" სამხედრო ქმედებები განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ რაც მშვიდობის როლის დამცველისთვის შეუსაბამო საქციელია. აქედან გამომდინარე ნატო-ს სახელმწიფოების კვლავ მოუწოდებენ რუსეთს გადახედოს თავის გადაწყვეტილებებს ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებაზე.

ამის შემდეგ მოხდა ნატო-რუსეთის შეხვედრა ლისაბონის სამიტის ფარგლებში, შეხვედრის დროს ალიანსი ლიდერები და რუსეთის ფედერაციის იმ დროინდელი პრეზიდენტი მედვედევი მივიდნენ შეთანხებამდე , მომხდარიყო ახალი ურთიერთობის დაწყება ნამდვილი სტრატეგიული პარტნიორობისათვის .

ეს ყველაფერი იყო რომის დეკლარაციის მისი პრინციპებისა და მიზნების გათვალისწინებით. ნატომ შეასრულა თავის თავზე დაკისრებული ვალდებულებები თანამშრომლობის ფარგლებში და მოხდა რუსეთის დელეგაციის მიწვევა სარაკეტო თავდაცვის სისტემის დაკავშირების შესასწავლად. ასევე მოხდა ამ ორი მხარის მიერ გაეძლიერებინათ თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლაში. ამის შემდეგ ერთობლივად გააგრძელეს მუშაობა ავღანეთის ფლოტის ვერტმრენთა მხარდასაჭერად, ასევე ჩაატარეს მეკობრეების წინააღმდეგ მიმართული წვრთვნები. ასევე მოხდა საერთო მისის განხორციელების შესაძლებლობები სირიაში ბირთვული იარაღის გასანადგურებლად.

რუსეთსა და ნატოს შორის ურთიერთობის დაძაბვა მოხდა 2014 წლის მარტის როდესაც რისეთმა მიიერთა ყირიმი. ამის საფუძველზე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა ეს მოვლენები შეათვალა როგორც საფრთხე უკრაინის სუვერინიტეტისათვის და ასევე ევროპული უსაფრთხოებისთვის. ანდრეს ფოგ რასმუსენმა ნატოს რიგგარეშე სხდომაზე უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით განაცხადა,რომ ნატო აპირებს გადახედოს რუსეთთან თანამშრომლობის მთლიან

სპექტრს მისი უკრაინაში პოლიტიკის გამო: კერძოდ ეს ეხებოდა ერთობლივი მისისს შეჩერებას სირიაში ქიმიური იარაღის განადგურების სესახებ. ნატომ შეაჩერა რუსეთთან სამხედრო და სამოქალაქო შეხვედრების ჩატარება და ასევე ერთობლივი მისიების დაგეგმვა. გარდა რუსეთ ნატოს შეხვედრებს ელჩების დონეზე . ასე და ამგვარად ალიანსმა ცალმხრივად განწყვიტა პარტნიორობის ხელშეკრულება რუსეთთან.

ასევე ნატოს საბჭომ გადაწყვიტა პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავება უკრაინასთან.მათ შორის მოხდა ერთობლივი წვრთნების ჩატარება ქვეყნის მხარდასაჭერად და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად, მან ასევე დაპირდა ,რომ ხელს შეუწყობდა სამხედრო შესაძლებლობების გაუმჯობესებას. 2014 წელს რუსეთი “ცივი ომის” შემდეგ პირველად არ იყო მონაწილე ნატოს სამიტზე, რომელზეც იქნა განხილული და მიღებული გადაწყვეტილება მომხდარიყო სამხედრო სწრაფი რეაგირების ძალების მომზადება და მზად ყოფნაში მოსვლა იმ შემთხვევაში თუ რუსეთი თავს დაესხმებოდა რომელიმე ნატოს წევრ სახელმწიფოს. 2014 25 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის დოქტრინის ახალი რედაქცია დაამტკიცა, რომელშიც ერთ-ერთი გარე საფრთხე არის ნატოს სამხედრო ძალის გაძლიერება და ნატოს წევრი სახელმწიფოების იარაღის მიახლობა რუსეთის საზღვრებთან. 2016 წლის ნატოს სამიტზე იქნა აღიარებული , რომ რუსეთი იყო ალიანსისთვის ყველაზე საფრთხის შემცველი და მისი შეკავება გახდა ნატოს მთავარი მისია. ნატოს თვალსაზრისით ყირიმის მიერთება რუსეთზე და რუსეთის ჩამბულობა აღმოსავლეთ უკრაინის დაპირისპირებაში თავიდან ბოლომდე შეცვალა ევროპის სტრატეგიული სიტუაცია. რუსეთის მოქმედებები უკრაინის მიმართ აღიქმება როგორც საფრთხე აღმოსავლეთ ევროპის ნატოს წევრ სახელმწიფოებისთვის.

2015-2017 წლებში მოხდა გაძლიერება ნატოს სამხედრო ძალის აქტივობა რუსეთის საზღვრებთან ახლოს და მოხდა ნატოს ჯარების გამოჩენა ბალტიისპირეთის ქვეყნებში : ლიტვა ,ესტონეთი,ლატვია. 2017-2018 წლებში “ნატო-ს ჯარების მზადყოფნის და სწრაფი რეაგირების” სამომავლო გეგმების და გაფართოების გაუმჯობესების თარგლებში იქნა

რიცხოვრივი გაზრდა მაღალი პრიორიტეტული სამხედრო მომსახურების 25 ათასიდან 40-ი ათასამდე, ბალტიის პირეტის ქვეყნებში. ავე რეამინირება მოხდა "ცივი ომის" პერიოდში ტრანსატლანტიკური ძალების გადასროლა ამერიკიდან და კანადიდან ევროპაში რათა მომხდარიყო დიდი სამხედრო ჯგუფების განლაგება რუსეთის საზღვრებთან.

2018 წლის მარტში ნატო-ს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ნატოს ძალები შეიძლება დარჩეს აღმოსავლეთ ევროპაში იქამდე სანამდე ეს აუცილებელი არ იქნება. დაჯგუფების ამოცანაა დაიცვას ნატო-ს წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტი ნებისმიერი აგრესიისგან. სტოლტენბერგმა პირდაპირ განაცხადა დაჯგუფებების რიცხვის გაზრდაზე, ყირიმში და დონბასში განვითარებული მოვლენების გამო.

თავი III. 21-ე საუკუნეში ნატო-რუსეთის ურთიერთობებში არსებული პრობლემები და პერსპექტივები

3.1 ნატოს გაფართოების პოლიტიკა და რუსეთის ეროვნული ინტერესები ახალი მსოფლიოს ფორმირების პროცესში

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ნატო მეორე მსოფლიო ომი შემდეგ ჩამოყალიბდა, მისი მთავარი ფუნქცია იყო წევრი სახელმწიფოების ქვეყნის მთლიანობის და სუვერენიტეტის დაცვა გარე მოსალოდნელი საფრთხეებისგან ხოლო ამაში რათქმუნდა საბჭოთა კავშირი იგულისხმება.

როგორც ვიცით "ცივი ომის" შემდეგ მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლა და მის ადგილზე 15 კამოუკიდებელი სახელმწიფოს გაჩენა. რათქმუნდა დაიშალა კომინისტური ბლოკი და მაშასადამე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაც. გაჩნდა მოსაზრებები, რომ გარე საფრთხე ფაქტობრივად აღარ არსებობდა ამიტომ უნდა გადახედილიყო და გააზრებულიყო ნატოს მთავარი ფუნქცია. მთავარი და მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მომხდარიყო "ცივი ომის" დამთავრების შემდეგ რა ახალი საფრთხეები და გამოწვევები დგებოდა ალიანსის წინაშე და საიდან იყო საფრთხე მოსალოდნელი. ერთ-ერთ მთავარ

პრობლემას მაინც წარმოდგენა პოლიტიკურად არასტაბილური რუსეთი თუმცა იმ დროისთვის ის ისე იყო დასუსტებული პოლიტიკურად და ეკონომიკურად, რომ ბირთვული ომის საფრთხე ფაქტობრივად არარსებობდა.

ამ დღის "ცივი ომის" დროს შეიქმენა ისეთი ვითარება და საფრთხეები რომელშიც ნაკლებად საშიში და დამაზიანებელი საბჭოთა კავშირზე არ იქნებოდა : ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხე, სტიქიური უბედურებები და სხვა მრავალი საფრთხე. ამის შედეგად ნატოს მესვეურები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ მოხდებოდა ნატოს გაფართოვება შესაბამისად ნატო მოახდენდა თავისი უსაფრთხოების არეალის გაზრდას და აღმოსავლეთ ევროპაც იქნებოდა ევრო ატლანტიკურ სივრცესი უსაფრთხოების ჩამოალიბების პროცესში. იმდროისთვის ნატოს მესვეურები კარგად ხვდებოდნენ, რომ ნატოს სამომავლო გაფართოვება რუსეთის გალიზიანებას გამოიწვევდა , თუმცა რუსეთთან სამომავლო კონფრონტაციის მიუხედავად , ალიანსისთვის იმდროს მეტად მნიშვნელოვანი იყო გაფართოების პოლიტიკის წარმოება. ალიანსი დადგება დილემის წინაშე როგორ მოეხდინათ რუსეთის მესვეურების დაშოშმინება როდესაც ამ დროს ალიანსი ფართოვდებოდა, ერთ-ერთი ვარიანტი იყო გაეწიათ რუსეთისთვის ეკონომიკურ-ფინანსური დახმარება ამის გარდა განიხილებოდა ნატოსა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარების შესახებ. ალიანსის მიერ ასეთი პოლიტიკის წარმოების შემდეგაც კი რუსეთის პოლიტიკურ წრეებში მაინც გამოითქმებოდა უკამყოფილება ნატოს აღმოსავლეთის გაფართოების შესახებ, ეს ხდებოდა არა მხოლოდ წარსული ინერციით არამედ სხვა სტრატეგიული დატვირთვაც ქონდა⁵. მთავარ მიზანს წარმოადგენდა ნატოს გაფართოების უკამყოფილების გამოთქმით მოსკოვს ევროპისგან მეტი პოლიტიკური დივიდენტი, რომ მიეღო .

აქედან გამომდინარე ნატოს გაფართოება პრობლემას წარმოადგენდა რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით. 1995 წელს მომზადდა სპეციალური სტრატეგიული გამოკვლევა ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით, ამის შემდეგ მიიღო

განსაკუთრებული აქტუალობა ამ საკითხმა. ამ დოკუმენტში იყო დეტალურად განსაზღვრული და აღწერილი “ცივი ომის” შემდგომი პერიოდი, იმ დროს არსებული პოლიტიკურ რეალიები გამომწვევები და სხვა. ასევე იმ დროისთვის ალიანსის უსაფრთხოების ხედვები. ამ დოკუმენტში იყო მინიშნება სადაც ნათო თავის უსაფრთხოებას ანიხილვდა ფართო გაგებით: ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და მოიცავდა ამ ფაქტორების ერთობლიობას. დიდი ადგილი საეთმო დოკუმენტში, ნატოს უმთავრესი უსაფრთხოების განხორციელებას, ასევე მის თანამშროლობას ევროპულ და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან.

იმდროისთვის 21 -ე საუკუნეში ნატო სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის უმთავრესად მიიჩნევდა:

- შენარჩუნებულიყო ტრანს ატლანტიკური კავშირი(ამერიკა-დას.ევროპა)
- ნატოს ისეთი სახმედრო ძალის ჩამოყალიბება რომელსაც უნარი ექნებოდა თავდაცვის და შეკავებასთან დაკავშირებული ყველა მისიის შესრულება.
- ნატოს ფარგლებში ევროპული თავდაცვისა და უსაფრთხოება
- მრავალხმრივი პოტენციალის განვითარება რათა შეძლებოდა კრისული სიტუაციის დროს გამოსავლის პოვნა
- ნატოში განევრიანების მსურველთათვის “ღია კარის” პოლ.გატარება
- ევროატლანტიკის ქვეყნებთან, პარტნიორობის და თანამშროლობის და დილოგის გატარება.

პოლიტიკური გაჟღერება ამ გადაწყვეტილების მოხდა 1996 წლის ჩრდილო ატლანტიკური წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორს ევროპული და გლობალური უსაფრთხოების წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმაცია, “ცივი ომის”

დასრულების და საერთაშორისო პირობების შეცვლის გათვალისწინებით . პირველ რიგში საუბარი მიდის როგორ უკვე ზემოთ ვახსენეთ ალიანსის გაფართოვებას სამხრეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით რომელიც საკმაოდ მიახლოვდა დსთ-ს სივრცეს. გამომდინარე აქედან ჩნდება რამოდენიმე საინტერესო კითხვა რუსეთის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, მაგალითად:

- რა არის ნამდვილი არსი და პერსპექტივა ნატოს ტრანსფორმაციის;
- რა ახალ პოტენციურ სირთულეებს, საშიშროებას ან რა შესაძლებლობებს ქმნის ეს პროცესი რუსეთისთვის;
- როგორი უნდა იყოს რუსეთის ადეკვატური რეაგირება .

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების 10-ე მუხლს ემყარება ნატოს “ღია კარი პოლიტიკა” . სახელმწიფოების დაპატიჟების თაობაზე გახდეს ნატოს წევრი, გადანაცვტილებას იღებს ჩრდილო ატლანტიკური საბჭო, ალიანსის ყველა წევრის შთანხმების თანახმად, ამ თემასთან დაკავშირებით ალიანსის არა წევრი ქვეყანა პროცესში არ მონაწილეობს. ნატოს გაფართოება არ არის საფრთხის შემცველი , ნატოს გაფართოების მიზანია მშვიდობის, სტაბილურობის და თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროპის კონტინენტზე, მოხდეს გაერთიანება მშვიდობისთვის და იქნეს ჩამოყალიბებული საერთო დემოკრატიული ღირებულებები. ნატოს კარები ღიაა ყველა იმ სახელმწიფოსთვის ვინ მზად არის შეასრულოს ევროატლანტიკური წევრობისთვის საჭირო მოვალეობები და შეუწყოს მშვიდობას ხელი. სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ალიანსში მიღებული იქნა “1952 წელს თურქეთი და საბერძნეთი, ამიშ შემდეგ დასავლეთ გერმანია “1955” და “1982” წელს ესპანეთი. ეს იყო მიჩნეული გაფართოების პირველ სამ საფეხურად როდესაც ეს ქვეყნები იქნენ მიღებული “ცივი ომის” დროს.

“ცივი ომის” შემდგომ პერიოდში ნატოს ტრანსფორმაცია შეიძლება განვიხილოთ სამ განზომილებაში: გეოგრაფიუ, სამხედრო-პოლიტიკური და ოპერატიულ ტექნიკური.

გეორგრაფიულად, ნატოს გაფართოების შემდეგ 2004 წელს. 7 ახალი ქვეყანა რომელშიც დახლოებით 50 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. რამოდენიმე წლის შემდეგ მოხდა ახალი წევრების ხორვატიისა და ალბანეთის მიღება ალიანსში (2009)წელს. პირველმა ნატოს გაფართოებამ მიაახლოვა რუსეთის საზღვრებთან 500-600კილომეტრით (ლატვია დ ესტონეთი) თუ ნატო კიდე რამოდენიმე გაფართოების ეტაპის შემდეგ მიიღებს ალიანსში საქართველო,უკრაინას ან აზერბაიჯანს , მაშინ ნატო გაიწვეს აღმოსავლეთით კიდე 1000 კილომეტრით ხოლო დასავლეთით 200კმ-ით.

საფრთხეები და შედეგები რუსეთისთვის

სამხედრო შედეგები: ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება რუსეთის საზღვრებთან მნიშვნელოვნად იზრდება (დახლოებით სამჯერ) მისი ტაქტიკური დამრყმელ ავიაციამდე მიღწევას მათ შორის ბირთვული იარაღის მატარებლის ჩათვლით. ასე გამაფრთხილებელი საშუალებების საბრძოლო მართვისა და დაზვერვის. ასევე როგორც ვიცით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დატოვა ათწლეულების წინ გამფორმებული შეთანხმება სადაც ქვეყნები უარს ამბობდნენ ბირთვული იარაღის წარმოებაზე ,რომელთა მოქმედები რადიუსი იქნებოდა 500-2500კმ. ამაწ რუსეთის მდგომარეობა ბევრად დაამძიმა, თუ ევროპაში მოხდება აშშ-ს ბალისტიკური რაკეტების წარმოება და იმის გათვალისწინებით,რომ ნატო ფართდოვდება პოსტ საბჭოთა ტერიტორიაზე, მაშინ რუსეთის ბირთვული სტრატეგიუი დანიშნულების წერტილებში რაკეტების დაღწევის დრო შემცირდე 5-7წუთამდე, რაც ზრდის განიარაღების და ბირთვულ დარტყმის საშიშროებას რუსეთისთვის. უკიდურესად დაბალია იმის ალბათობა ,რომ რუსეთზე მოხდეს სამხედრო თავდასხმა თუმცა, ნატოს გაფართოება გამოიწვევს რუსეთის ნეგატიურ პოლიტიკურ შედეგებს. ეს ყველაფერი გამოიწვევს რუსეთის პოლიტიკურ თავისუფლებას პოსტ საბჭოთა სივრცეში , მოუტანს ზიანს ეკონომიკას, გაიზრდება სამხედრო-პოლიტიკური სისუსტე.

განსაკუთრებით ცუდი გავლენა ენქება რუსეთისთვის უკრაინის განწევრიანებას ნატოში:

- მკვეთრად შეაფერხებს უკრაინასთან ეკონომიკუ,ჰუმანიტარულ და სამხედრო-ტექნიკურ ურთიერთობებს და და მისი ტერიტორიის გავლით ტრანზიტს
- მოხდება დაკავება რუსეთისთვის რამოდენიმე მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტის და გაიხსნება დიდი ახალი დაუცველი ფანჯრები თავდაცვის სისტემაში
- მკვეთრად გაფუჩდება ამერიკასთან თანამშრომლობა ტორეტიზმთან ბრძოლაში
- ასევე მოხდება უკრაინაში რუსოფობიური იდეოლოგიის განმტკიცება და პროდასავლური აზროვნების საზოგადოების ჩამოყალიბება

